3-47

# პიონერი



ბრიგადირი

2

1930

სახელგამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამკვრელი ბრიგადა

საბჭოთა ქვეყნები ისტორიაში ჯერ არ ნახული სოციალისტური მშენებლობის ქარტეხილში იმყოფება, აღდგენითი პერიოდის დასრულებას შედეგად მოჰყვა სოფლის მეურნეობის გარდაქმნისა და ქალაქის მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის ხუთწლიანი გეგმის შედგენა, რომლის მიზანია სოფლად დაქსაქსული მეურნეობის ერთ მთლიან კოლექტივში გაერთიანება და გიგანტური აგროკომბინატების საშვალებით დამზადებული ნედლი მასალითა და ნახევარფაბრიკატებით ჩვენი ქვეყნის ფაბრიკა-ქარხნების ნედლეულით უზრუნველყოფა.

სოციალისტური მშენებლობის საკითხები პარტიისა და ხელისუფლების მიერ თავის დროზე იქნა შესწავლილი და გადატანილი ფართე მშრომელ მასებში, რის შედეგად ჩვენ მივიღეთ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის აქტიური გამოხმაურება.

გამოხმაურების გულწრფელობის საუკეთესო დამახასიათებელი ფაქტებია: სოციალისტური შეჯიბრის წარმატებით ჩატარება, როგორც ფაბრიკა-ქარხნებში, ისე, ნაწილობრივ, სოფლებში უკვე ჩამოყალიბებულ კოლექტივებში, რამაც საბჭოთა მოსახლეობა დააყენა ფრიად მნიშვნელოვანი ახალი წარმატების წინაშე, სახელდობრ: ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში დასრულების საკითხის წინაშე...

ამ წარმატებას, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, უეჭველად ხელს უწყობდა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის გამონახული ახალი ფორმა: ფაბრიკა-ქარხნებში დამკვრელი ბრიგადების დაწესება და ხშირად მთელი წარმოების დამკვრელ წესებზე გადაყვანა.

დამკვრელი ბრიგადების დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ აღმოფხვრას წარმოებაში თუ კოლმეურნეობებში ყოველი სახის დაუდევრობა, უმიზეზოდ დროს გაცდენა, ლაზღანდარობა, ლოთობა და წარმოების ხელის შემშლელი სხვა პირობები; გააჩაღოს სხვებისთვის მისაბაძი მუშაობა იმ ჯგუფში, სადაც მუშათა ბრიგადას ან მის რომელიმე წევრს უხდება მუშაობა, შესაძლებელ მაქსიმუმამდე ასწიოს შრომის ნაყოფიერება შრომის რაციონალიზატორული ხერხებით და შეამციროს დასამზადებელი პროდუქციის საერთო თვითღირებულება, ისე რომ შრომის ხელფასი დარჩეს უცვლელი და სტაბილური.

**„არცერთი მუშა სოციალისტური შეჯიბრის გარეშე“, „ავწიოთ შრომის ნაყოფიერება, როგორც წარმოებაში, ისე საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში“** აი, ჩვენი სადღეისო ამოცანები; **„უნდა მოვახდინოთ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია“**, აი, სადღეისო ჩვენი ლოზუნგი.

პარტია და ხელისუფლება მშრომელების საუკეთესო აქტივის, დამკვრელი ბრიგადების, დახმარებით წარმატებით სწყვეტს ისტორიაში ჯერ არ ნახულ უდიდესი მნიშვნელობის საკითხებს...

დამკვრელი ბრიგადების მთავარი ყურადღება სწორედ ამ საპასუხისმგებლო საკითხების უმტკივნეულოდ განხორციელებისაკენ უნდა იქნას მიქცეული; ჩვენ ვხედავთ ამ პასუხისმგებლობას დამკვრელი ბრიგადების მუშაობაში.

დამკვრელი ბრიგადები სხვა მუშაობასთან ერთად აღმზრდელობით და ახსნა-განმარტებითს მუშაობასაც უნდა ატარებდენ ადგილებზე. ამ მუშაობაში მოზრდილ ამხანაგებს ხელს უნდა უწყობდეს პიონერული აქტივი და მთელი პიონერული ორგანიზაცია.

ყველა პიონერი ვალდებულია გახდეს ბრიგადირი და უფროს ამხანაგებთან ერთად ჩაატაროს მუშაობა, განსაკუთრებით სოფლებში, წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის დარგში, სააგიტაციო ინსცენირობის და წარმოდგენების გამართვის საქმეში, ხუთწლიანი გეგმის კუთხის მოწყობაში, მშობლებს შორის პროპაგანდა აგიტაციის გაწევის საქმეში და სხვა.

ყოველი პიონერი ვადებულია თვალყური ადევნოს ჩვენი ქვეყნის წინაშე წამოჭრილი საკითხების გადაჭრას და ხელი შეუწყოს, პიონერული სიმტკიცით, ყველა იმ საკითხის ფართე მასებში გადატანისა და პოპულარიზაციის საქმეს, რომელთაც პარტია და ხელისუფლება აყენებს მშრომელი მოსახლეობის წინაშე.

დამკვრელმა ბრიგადებმა, როგორც მოზრდილებმა, ისე პიონერებმა, შესაფერი ახსნა-განმარტება უნდა მისცენ მშრომელ გლეხობას კოლექტივებში გაერთიანების ნიადაგზე წამოჭრილ სხვადასხვა სახის გაუგებრობაზე, რაც მოსალოდნელია კულაკების, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პერიოდში.

დამკვრელი ბრიგადელი პიონერი ვალდებულია თვალყური ადევნოს ჩვენს პრესას და სკოლები გადააქციოს ხუთწლიანი გეგმის შესწავლისა და გაცნობის კერად.

**პ. ჩხ—ძე.**

## შ ი ნ ა ა რ ს ი.


| | გვ. |
|---|---|
| 1. პიონერორგანიზაციების მონაწილეობა საგაზაფხულო თესვის კამპანიაში | 1. |
| 2. ფუტკარი — **ი. აბაშიძის** | 2. |
| 3. პიონერების ბრიგადა — ლექსი — **შ. შაველაშვილის** | 3. |
| 4. ტრაქტორი — ლექსი — **მ. ქარელიშვილის** | 5. |
| 5. ახლოს მანქანებთან და დაზგებთან | 6. |
| 6. მიშკა იოჟიკ — **ნ. ზომლეთელის** | 8 |
| 7. ჯანყი — **მატე ზალკასი** | 8. |
| 8. შევისწავლოთ ჩვენი პროლეტარული მწერლობა — **გ. ნ—ლის** | 12. |
| 9. მეცნიერება და ტექნიკა | |
| 10. ბუნების მოვლენანი — **ს. მესტიაშვილის** | 15. |
| 11. მოსკოვის ინსექტარიუმი | 16. |
| 12. დამკვრელი ბრიგადები · **პ. ჩ-ძის** — გარეკან. მე-2 გვ. | |

329.154(05)
პ-47.

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

31 იანვარი

№ 2

წელიწადი მეხუთე

1930

# პიონერი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიურო-ების და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშვებისათვის

კ. ბექვაიას, ვ. ლუარსამიძის, ალიო მაშაშვილის, ნ. მაისურაძის და ი. შოთაშვილის რედაქციით

## პიონერ-ორგანიზაციების მონაწილეობა საგაზაფხულო თესვის კამპანიაში

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შევძლებთ საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი ძალების და საშუალებათა მობილიზაციას.

პიონერ-ორგანიზაციამ, როგორც ბავშთა მოძრაობის მოწინავე რაზმებმა, ყოველგვარი ზომა უნდა მიიღოს იმისათვის, რომ შეასრულოს თავისი როლი მიმდინარე კამპანიაში და აქტიურად ჩააბას ამ საქმეში შეუკავშირებელ ბავშთა ფართო მასები.

პიონერ-ორგანიზაციამ იმგვარად უნდა გადაახალისოს თავისი მუშაობა, რომ არცერთი პიონერი და მოწაფე არ დარჩეს საგაზ. სასოფ. სამეურნეო კამპანიის პერიოდში კონკრეტულ დავალებათა გარეშე.

პიონერთა ორგანიზაციების პრაქტიკულმა მონაწილეობამ კიდევ უფრო უნდა შეუწყოს ხელი ბავშთა შორის აგრო-ტექნიკური ცოდნის განვითარებას და გააძლიეროს პიონერ-კოლექტივები მუშაობის გამოცდილებით სოფლის საზოგადოებრივ პოლიტიკური ცხოვრების დარგში, სოც. შეჯიბრების წარმოების საფუძველზე კოლექტივებსა და ორგანიზაციებს შორის.

ჩვენ რეგულარულად კონტროლი უნდა გავუწიოთ ცალკე ორგანიზაციებს შორის დადებულ ხელშეკრულებათა განხორციელებას და მასთან ერთად, ხელი შევუწყოთ ჩამორჩენილ ორგანიზაციებს და შევაჩვიოთ ისინი სოციალისტური აღმშენებლობის გაძლიერებულ ტემპებს. დასმული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის, პიონერ-ორგანიზაციების უმთავრესი ყურადღება საჭიროა მიქცეულ იქნას შემდეგზე: დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ფართო მოსამზადებელი მუშაობა პიონერ-კოლექტივებში და სკოლებში იმ ამოცანების კონკრეტულად გათვალისწინებით, რომლებიც დასახულია პარტიის მიერ.

ამასთან ერთად, როგორც გასულ წელს, ისე ახლაც დაარსებულ უნდა იქნას, სადაც კი შესაძლებელია, კოლექტივის წინამძღოლთა მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსები, სადაც პრაქტიკულად უნდა იქნეს დამუშავებული საგაზაფხულო თესვის კამპანიაში პიონერ-ორგანიზაციების მონაწილეობის გეგმა. ქალაქის ორგანიზაციები სოფლის ორგანიზაციებისთვის დახმარების გაწევის მიზნით უნდა შეუდგენ კონკრეტულ ღონისძიებათა დამუშავებას.

ქალაქის ორგანიზაციების მონაწილეობის ძირითად ფორმად უნდა ჩაითვალოს პიონერ-ბრიგადების გაგზავნა სოფლად და ამ ბრიგადებში შეუკავშირებელ ბავშთა მასების ჩაბმა. ეს ბრიგადები უნდა გაიგზავნონ სოფლებში უახლოეს დროში, რომ სოფლის კოლექტივებთან ერთად დაამუშაონ საგაზაფხულო თესვის კამპანიის პრაქტიკული გეგმა.

გეგმაში სავსებით გათვალისწინებულ უნდა იქნას თითოეული ორგანიზაციის და მოწაფეების პრაქტიკული მუშაობა კამპანიის ჩატარების დროს. ქალაქის ორგანიზაციებს, გარდა ამისა, ევალება: **აგრო-ლიტერატურის შეკრება, რადიომიმღებთა მოწყობა, პლაკატების, ლოზუნგების და ახალი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ნიმუშების გაკეთება.** ამასთან ერთად, პიონერ-კოლექტივები და ქალაქის ორგანიზაციების ბაზები უნდა შეუდგენ (სადაც კი ეს შესაძლებელია) სათბურების მოწყობას სხვადასხვა სასარგებლო და შემოსავლიანი მცენარეულობის გასაშენებლად, რაც თვალსაჩინო დახმარებას გაუწევს მიმდინარე კამპანიის წარმატებით ჩატარებას.

პიონერები უნდა გადაიქცენ საუკეთესო აგიტატორებად და პროპაგანდისტებად, როგორც მშობლებს, ისე მშრომელ მოსახლეობას შორის — საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში მათი პრაქტიკულად ჩაბმის მიზნით.

სოფლის პიონერ-ორგანიზაციებმა უნდა ჩამოაყალიბონ დამკვრელი საინიციატივო ჯგუფები პიონერთა და მოწაფეთა წრიდან, რომელთაც უნდა დაევალოს თესლეულობის მომზადება თესვის კამპანიისათვის. ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ მთელი სათესი მასალა პირველ რიგში გამზადებულ იქნას კოლმეურნეობებისათვის და საბჭოთა მეურნეობისათვის. პიონერ-ორგანიზაციის მონაწილეობა სოფლად უნდა ვითარდებოდეს პიონერთა ამხანაგობების ჩამოყალიბების ხაზით, რომელთა მიზანი იქნება პიონერული კოლმეურნეობების და ამხანაგობების დაარსება სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგის გაძლიერების და განვითარების მიზნით.

პიონერ-ორგანიზაციებმა საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საუტილიზაციო ნედლეულის შეგროვებას და ამით ხელი შეუწყონ სახელმწიფოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეძენაში. საუტილიზაციო ნედლეულის შეგროვებაში მონაწილეობას უნდა იღებდეს თითოეული პიონერი, თითოეული მოწაფე.

პიონერ-ორგანიზაციამ განუწყვეტელი ბრძოლა უნდა აწარმოოს წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ. **„არ უნდა დარჩეს არცერთი ისეთი პიონერი, რომლის დედამ არ იცოდეს წერა-კითხვა“.**

თითოეულმა კოლექტივმა და პიონერმა უნდა შეასრულოს მარტამდე საკონტროლო ციფრები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში და ამით ხელი შეუწყოს სასოფლო მეურნეობის კულტურულად გარდაქმნას.

კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ძლიერი განვითარება იწვევს ჩვენი კლასობრივი მტრების ამოქმედებას და კულაკების შემოტევას, რომლებიც აწარმოებენ მშრომელ გლეხობაში თავის გამხრწნელ აგიტაციას. ამის მიხედვით, პიონერ-ორგანიზაციებმა უნდა ამხილონ კულაკური აგიტაცია და, ამასთანავე ერთად, გამოააშკარაონ ისინი, რომლებიც აპირებენ კოლმეურნეობაში შესვლას და თავისი ინვენტარის გაყიდვას. პიონერ-ორგანიზაციებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ სამანქანო კოლონების ჩამოყალიბებაში. პიონერ-კოლექტივებმა უნდა იბრძოლონ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით გაუფრთხილებლად სარგებლობის წინააღმდეგ. პიონერებმა ყოველდღიურად უნდა ადევნონ თვალყური იმას, თუ რამდენად გამზადებულია სასოფლო-სამეურნეო მანქანები სამეურნეო მუშაობის დაწყებისათვის.

პიონერ-კოლექტივების და ყოველი პიონერის სასოფლო სამეურნეო კოლექტივების მუშაობაში აქტიურ მონაწილეობით ჩვენ უფრო წინ წავწევთ საბჭოთა სოფლის სოციალისტური გარდაქმნის საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფუტკარი

1.

—შენ იორამ ჩოხელის ბიჭი ხარ?

—ჰო, იორამისა.

—მერე და, ბიჭო, ეგრე ადრე რად ჩამოსულხარ?

—ცუდი ამინდი დაიჭირა, მეზობელო, ასეთ დროს იქ ცხვრის რჩენა ჭირს.

—იორამი კი ჯერ არ მოგელოდა,-გამოელაპარაკა მოხუცი გლეხი სოფლის შარაზე მომავალ მწყემს კოლას, რომელიც, ის იყო, „ლეკის მთიდან“ ჩამორეკილი ცხვრით, რამდენიმე დღე-ღამის მგზავრობის შემდეგ მოადგა სოფელს.

სოფელი ქსნის ხეობაში იშლება. მდინარის სანაპიროთა ბუნება უხვია და ნოყიერი.

—მერე და აქ სად უნდა შეინახო ამდენი ცხვარი?

—ჰო, ვიცი, აქ კიდევ უარესი მინდვრებია, მაგრამ, აი, ათიოდე დღის შემდეგ შირაქს წავასხამ.

—ძაან შორს კია!

—ყოველწლივ იქ ვაძოვებთ ზამთრისას.

—ლეკის მთაც არა ერთხელ გექნება მოვლილი.

—ჩვენი საძოვრები ზაფხულობით ლეკის მთაა, ზამთრობით შირაქი.

—ჰე, ჰე, ჩემო კოლა, შენ ამ ხეტიალში ჩაკვდები... ერთი მითხარ: რა გეძლევა წლიური?

—წლიური? წლიური 6 ცხვარი.

—ჰმ, შენ კიდევ ვერ გისწავლია ჭკუა, ამ ჯეელ ბიჭსა, და ისიც ჩვენს დროში!—დაამთავრა საუბარი მოხუცმა გლეხმა და სიფრთხილით შეუარა გვერდი ხშირბეწვიან თათრულ ძაღლებს.

კოლამაც ღვედს ტკაცანი გააღებინა და ღიღინით გარეკა ცხვარი ახლო სოფლისაკენ.

2.

იორამ ჩოხელი ღარიბი გლეხობისათვის ყველაზე უფრო საზარელი და შეუბრალებელი მეზობელია. ახლომახლო მოსახლეთაგან იშვიათია ისეთი ოჯახი, რომელსაც არ ეგემოს გაიძვერა იორამის ოინები.

ჩოხელი ამ სოფლის დიდად შეძლებული გლეხია. ახალგორის საკუთარ სავაჭროში ორი ნოქარი ჰყავს დაქირავებული. ბაღ-ვენახებიდან ყოველწლივ მდიდარ შემოსავალს იღებს. შირაქსა და ლეკის მთაში დაუდის მრავ ლრიცხოვანი ცხვრის ფარა, რომლის ერთ-ერთი მწყემსთაგანია ჩვენგან უკვე გაცნობილი კოლა.

იგი რვა წელია, რაც მოჯამაგირედ გავიდა. შინ პატარა ძმა და დედა ჰყავს სარჩენი. ცოტა ხანი კიდევ, და კოლა გასცილდება დამქირავებელს, ჩადგება დიდი ხნის შრომით შეძენილ საკუთარ ცხვარში და იცხოვრებს თავისთვის, მშობელთან და ძმასთან.

ყველგან ეს ოცნება დაჰყვება კოლას და ახლაც ამავე ფიქრით შევიდა სოფელში.

შემოდგომიდან შემოპარული სიცივე უფრო და უფრო მეტი სიძლიერით კუმშავდა მიდამოს. გორაკებზე ბუჩქი შეხმა. ახლომახლო გაშლილი ტყეებიდან ქარს გადმოქონდა ფოთლის გუნდები. მინდორზე ჭირნახული აკრიფეს და ზვარში კანი დაუსკდა შიშველ ვაზს. ზამთარი მოადგა სოფელს.

3.

—ბიჭო, რატომ ეგრე ადრე ჩამორეკე ეგ სამგლეები? —მეათეჯერ ეკითხებოდა ბრაზნარევი იორამ ჩოხელი ცეცხლის პირას მჯდარ კოლას, რომელიც ამდენჯერვე განმეორებულ პასუხს იძლეოდა:

—ჩამოთოვა, ხაზეინ, ჩამოთოვა, გაჭირდა ცხვრის რჩენა.

—შენ სულ ეგრე გაიძახი, აქ უარესად ჭირს შენახვა, შირაქში გასვლამდე კი ათი დღე მაინც მოგიხდება აქ დარჩენა, აბა საიდან შევინახო ამდენი ცხვარი?--თავისებური სიძუნწის გამომჟღავნებით ცხარობდა იორამი.

დადუმებული კოლა ცეცხლის პირას სთვლემდა და ყელი აუხმაურდა.

იორამი ვახშმის მოლოდინში ცეცხლს აღვივებდა.

—კოლა, ჰაი, კოლა, შენ არც ისე დაღლილი იქნები, გაახილე თვალი,—შეანძრია იორამმა ნაბდის ძველაში გახვეული მძინარე კოლა.

—როგორ არა, ხაზეინ, შორი გზა მომივლია, ძალიან დაღლილი ვარ.

—არა უშავს რა, არა უშავს რა, ერთი მისმინე.

კოლამ თვალები დაიზილა, ძალდატანებით დაჭყიტა და ყური მიუგდო. სახე დაღლილობისაგან დამანჭოდა და მხარ-მკლავი, ულონობით მოსხლეტილი, უნძრევლად ეწყო მუხლებზე.

—შენ ამაღამ უნდა გადასწყვიტო ჩემი ვაჭრობის ბედ-იღბალი, ერთი დიდი საქმე უნდა შეასრულო, მხოლოდ გაფრთხილებ: თუ სადმე დაგცდენია, გერჩიოს დაღესტანს გასცდე, თორემ შემომაკვდები.

კოლა დამქირავებლის ბრაზიანმა თვალებმა შეაკრთო და მისდამი გაორკეცებული ზიზღი იგრძნო.

—გინახავს ალბათ აქაური სკოლა, აი, გლეხურ სამეურნეო სკოლას რომ ეძახიან.

—მინახავს.

—ნახე, რამდენი ფუტკარი ჰყავთ! ამ შემოდგომაზე აუცილებლად თორმეტ ფუთ თაფლს აიღებენ. ჰმმ, წელს მაჯობეს იმათ. ქებული იყო ჩემი თაფლი, მუხრანში ყოველწლივ კარგ ფასად ვასაღებდი, წელს მაგათ გამიიაფეს, მაგ ნაძირალა ბავშებმა. არ იქნა, მაგათი სახსენებელი ვერ მოვსპე აქედან. მე რომ ბაღეჭი ჩამომართვეს, შარშან მაგათ გადასცა გლეხკომმა. მაშინ მაინც ჩემი სჯობდა, წელს კი ბაღშიაც მაჯობეს, ხილი და ბოსტნეული ფეტვის ფასად გაასაღეს. აბა მე ვინ შემხედა ბევრი ვიზარალე. ახლა ლამის არის თაფლი ნივრის ფასად გამაყიდვინონ. ჰეე, სამართალი, სამართალი, თორემ ჩოხელს ვიღაც ორთვიანი ბავშები უნდა მჯობნიდენ? ბავშებს ჩაუვარდა ქვეყანა ხელში, აი თუნდაც გლეხკომის თავმჯდომარე რომ არის, ისიც იმათთანა ლაწირაკია და უარესიც. მაგრამ . . . ჩემთან ბევრს ვერაფერს გახდება,—დაატანა ბრაზნარევად იორამმა.

—მერე და რა საქმე უნდა შევასრულო?—გააწყვეტინა კოლამ დამქირავებელს მისგან ათასჯერ გაგონილი წყევლა-კრულვა და გინება სოფლის მესვეურებისა.

—გიმეორებ, დაღესტნის გაცილება გერჩივნოს, თუ სადმე დაგცდა.

კოლა სდუმდა.

იორამმა დაიწყო:—აი იმ სკოლაზე გეუბნები. გამგე, რომელიცა რომა იმ სკოლის უფროსია, ახლა აქ არ არის,

ქალაქში წასულა. დაფიქრდი, შენ ამაღამ იქიდან უნდა
გადმომიტანო ექვსიოდე თაფლიანი სკა,—სხარტად მოსჭრა
იორამმა.

—როგორ? უნდა მოვიპარო?

—თუნდაც ეგრე იყოს.

—ხაზეინ, ეგ სადაური ფიქრი მოგსვლიათ!!

—სადაური, სადაური! ერთი ჩემი მდგომარეობაცა
ნახე, კოლო, დახედე ჩემს ცხოვრებასაცა, ადამიანო, შე-
ნაც ხომ ჭკუიდან არ გადაცდი! ყური მიგდე, კოლა—და
აქ იორამმა განზრახ გული აიჩუყა, თვალები ცრემლებით
აივსო.—დამღუპეს, ოჯახი დამიღუპეს. ჩემს მამულზედაც
ცეცხლიანი რკინებით დახრიგინებენ, შემოსავალი ერთი-
ათად შემიმცირეს, გადასახადეპში გამყიდეს, აბა ახლა
ჩემიცა სთქვი, საიდან ვიცხოვრო! ოჯახი მეღუპება! რო-
გორ გაგიძლოს კაცს თავმოყვარეობამაც, როცა გუშინ-
დელი ბავშები ლამის კისერზე შემსხდენ და სახედარივით
ქალაქში ჩამათრევინონ ჩემივ მიწაზე მონაგარი ჭირნახუ-
ლი; კოლა, შენ მაინც შედი ჩემს მდგომარეობაში, ჭკვი-
ანი ბიჭი ხარ, ეს ერთი ჯავრი მაინც ამომაყრევინე,—
ქვემძრომული სისინით ეხვეწებოდა იორამი.—არ უარყო
ჩემი თხოვნა, დარჩი ჩემი ერთგული. გამოიტაცე სკები და
თუნდაც ქსანში გადაჰყარე, რომ რაც შეიძლება მეტი
იზარალონ, რომ თავისუფლად გავყიდო ჩემი თაფლი.
დააქციე, დალვარე, გაანადგურე მაგ მგლისშვილები—
ღელავდა იორამი და მთელი შეძლებით ცდილობდა გულ-
წრფელობით ემოქმედა დაქანცულ მწყემსზე, რომ გან-
ზრახვაზე დაეყოლებინა.

4.

მაცდურად იცრემლებოდა იორამი, მაგრამ ამ ცრემ-
ლებშიაც ხედავდა კოლა ნამდვილ იორამ ჩოხელს, რო-
მელიც ყოველ წუთს მსურველია თუნდაც აცრემლებით
შეგაბრალოს თავი, რომ ხაფანგში მოგიმწყვდიოს და
სურვილისამებრ მოგიხმაროს. კოლას კარგად ესმოდა ამ
ცრემლების მნიშვნელობა და უფრო და უფრო მძლავრად
იფლობდა ამ საშინელი ადამიანისადმი ზიზღი და შეუბ-
რალებლობა.

აბა, კოლას როგორ შეუძლია იქურდოს? როგორ
შეუძლია გაძარცოს გლეხური სამეურნეო სკოლა, სადაც



ტრაქტორისტების ბრიგადა სოფლად

მისივე ამხანაგები ზაფხულის შრომით იძენენ წიგნებს,
იძენენ ცოდნას. ჰე, რამდენჯერ უფიქრია კოლასაც სწავ-
ლაზე, კარგია წიგნის ცოდნა, კარგ მეურნედ გახდომაც,
ისინი ხომ სკოლაში წიგნსა და მეურნეობას სწავლობენ!
ჰე, ძმასა და დედას ვინ არჩენს, თორემ . . . თორემ
კოლაც ისწავლიდა, ნიჭიერი ბიჭია, წიგნი არ გაუჭირ-
დებოდა. ახლა კი . . . შირაქი და ლეკის მთა. ჰეე!
არა, არა, სკოლისა და ამხანაგების გაძარცვა უდიდესი
საშინელებაა,—დუმილში ფიქრობდა კოლა.

—აბა, მოიხედე, რას იტყვი?—შეაწყვეტინა ფიქრე-
ბი იორამმა.

—ვერაფერს, ხაზეინ, ამას მე ვერ ჩავიდენ, ქურ-
დობა არ შემიძლია.

—კოლა, ნუ დამღუპავ—ისევ თხოვნას სცდიდა იო-
რამი.

—მე რა შუაში ვარ, რით დაგღუპავ? ჩემი საქმეა:
შენს ცხვარს დავუდგე, ვაძოვო, ჩემი ავიღო და წავიდე.

—ვერაფერსაც ვერ აიღებ!—დასჭყივლა იორამმა
და სახე, რომელიც ამავე წუთში შებრალებას ითხოვდა,
მრისხანებად გადაექცა—ვერაფერსაც ვერ აიღებ, გესმის?
ვერაფერსაც, შე ვერანავ! სიტყვა დამტყვილე, საიდუმ-

# პიონერების ბრიგადა

გულში სიახლის. ცეცხლი ანთია...
პიონერების ბრიგადა დგება,—
კოლექტიური. შრომის განთიადს
მათი გულებიც მხნედ ეგებება!..

დარაზმულები სოფლად მიდიან...
წყებანი მისდევს ულევად წყებას,—
ვალდებულება ჩვენი დიდია,
საგაზაფხულო თესვა იწყება!..

გლეხებთან ერთად დავჭიმავთ კუნთებს,
ქარიშხალური სიმძაფრე გვახლავს,
გადაშლილ ველებს ამოვაბრუნებთ,
ტრაქტორმა რბენით ყამირი გახრა!

მიჯნა-საზღვარი აღარ იქნება,
სიცოცხლეს ვწირავთ ჩვენს ბრძოლის მიზანს,—
ძველი ცხოვრება გარდაიქმნება,
ვერაგი მტერი ბრაზით რას გვიზამს!

შეიკრეს ხარბად წიგნთა კრებული,
კლუბმა და სკოლამ ხევში იალოს,

პიონერებო! ვიყოთ მხნე გულით,
რომ ბობოლები გავანიავოთ!..
მოვდივართ ნორჩი ბრიგადელები,
ჰეი, გლეხობავ, საქმე გვიზიდავს,
გმირულ შრომაში მოგეშველებით,
არ გადავუხვევთ დასახულ გზიდან!
გვიყვარს გუგუნი ალმოდებული,
ახალ ცხოვრების ნორჩი ძმები ვართ!..
იფეთქებს გული, მკერდ-ქვეშ დებული,
ჩვენი ძლიერი გამარჯვებითა!..
პიონერული კუნთები ხარობს,
ცხოვრების მიზნებს მხრებით ვატარებთ,
„რკინის ხარებმა“ ყამირი თხარონ,
ცეცხლი, მახვილი მტერს, მოღალატეს!..
გულში სიახლის ალი ანთია,
ვართ დარაზმული მტკიცე რიგადა,
კოლექტიური შრომის განთიადს
საქმით შეხვდება ჩვენი ბრიგადა!..

შალვა შაველაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო მათქმევინე და ახლა უარობ?! უარობ?!—ყვიროდა იორამი და ისედაც სქელ სახეს სისხლი ბერავდა.—რად გამამხელინე, გესმის? რად მათქმევინე ჩემი განზრახვა მეთქი!

იორამი მზად იყო ფეხქვეშ ჩაეგდო მგზავრობისაგან დაღლილ-დაქანცული მჭყემსი.—არა, შენ ამას ვერ დაფარავ, თუ თვითონ არ შეასრულე და შენი თავი არ იგრძნე მონაწილედ! შენ გამცემ, თუ თვითონ არ ჩაერიე ამ საქმეში! შენს წერას აუტანიხარ, შენამც პოლიტიკობა დამიწყე, არა? ენახოთ. ვნახოთ. ვერაფერსაც ვერ აიღებ!-- არ ცხრებოდა იორამი.

5.

შუაღამემდე ყეფდა გაცოფებული იორამი, და ზანზარებდა შენობა.

—შენ ამის დაფარვა არ შეგიძლია. ან შეასრულე, ან დაღესტანს გაცილება გერჩივნოს.

საგონებელში ჩავარდა კოლა, აგინებდა ამინდს, რომელმაც ასე ადრიან გადმოაგდო ლეკის მთიდან, აგინებდა ამ მხეც ადამიანს, რომელმაც ერთი ღამითაც არ მოასვენა მთელი კვირით ნამგზავრი, დაღლილ-დაქანცული მოჯამაგირე.

თუ ასე ეშანოდა, რად მიმხელდა განზრახვას!?—განუწყვეტლად ფიქრობდა კოლა.

—ხაზეინ, დამეხსენ, მე ნუ ჩამირევ და მაშინ მიზღე, თუ გაგცე.

—ხმა მეთქი, ან შეასრულე ან . . . უუჰ!—ყელში აწვებოდა სისხლი გამხეცებულ ჩოხელს.

უკვე შუაღამის იყივლეს მამლებმა, და ოთახშიც ისევ ყიოდა იორამი.

გასჭრა ნადირის რისხვამ.

დაეცალა მოთმინება ქანცმილეულ მწყემსს და დასთანხმდა დამქირავებელს უსაზიზღრეს საქმეზე.

წავა კოლა, ეს ერთიც გადაიტანოს და ხვალ ანგარიშს გაუსწორებს იორამს, წავა, არ უნდა ასე ცხოვრება. სიტყვას აძლევს თავს: ხვალ დილიდან აღარ გაეკაროს იორამ ჩოხელის კარ-მიდამოს.

მხოლოდ... მხოლოდ ეს ერთიც გადაიტანოს.



ფტ ლნედ.. ეულს აგროვებენ

6.

რა იციან გლეხის პატარა ბიჭებმა, რომ იმ შენობაში, სადაც ახლა ისინი ანბანს და მეურნეობას სწავლობენ, ერთ დროს განცხრომით სტკბებოდა საგარაკოდ აქ ჩამოსული ქართველი მექარხნე, ვინმე სარაჯიშვილი. ჯერ არც ის იციან, სად ან რატომ იმყოფება ახლა ეს ხალხი. იციან მხოლოდ, რომ მათთვის ეს სახლი ოქტომბრის რევოლუციას და სოფლის ღარიბ გლეხობას ხელი-ხელ ჩაკიდებულად აუშენებია".

მოზრდილებს წარსულის ბევრი ესმით, იმათ ეს ამბები იციან, მაგრამ მაინც და მაინც ამ საკითხს დიდ დროს არ ანდომებენ, მათთვის უფრო საჭირვეულო საზრუნავია კულტურული მეურნეობის შესწავლა.

სოფლის ბოლოშა, ქსნის მარცხენა ნაპირზე დგას ეს შენობა.

მრავალი მოსწავლე მეზობელი სოფლიდან დაიარება. ზაფხულში მთებ შუა გზა სახალისოა და უჭირვეულო; განთიადისას გამოსული გოგო-ბიჭები სკოლის ზარს უსწრებენ და შემდეგ სკოლის ბაღ-ვენახებში გაისმის ბავშების სიმღერა და ჟრიამული.

ზამთარში მეზობელი სოფლებიდან გადმოსვლა დათოვლილი მთების საცალფეხო ბილიკებზე შეუძლებელი ხდება, ბავშებიც აიკრავენ ბარგს, კალათებში ჩაყრიან სარჩოსა და ხილის მარაგს, დაჰკოცნიან მშობლებს, ნათესავებს და მოაშურებენ სკოლის საერთო საცხოვრებელს, სადაც მთელი ზამთარი უნდა გაატარონ.

შემოდგომის იმ ღამეს, როცა იორამ ჩოხელმა დაიყოლია მწყემსი ჩაედინა საზიზღარი საქმე, სკოლის საერთო საცხოვრებელში ჩვეულებრივი მხიარულება მეფობდა.

—„ხეჩო, ხეჩო, ერთი ეს მიპასუხე, როგორ შეიძლება პანტა მსხლის ძირზე დაამყნა სტაფილოს ყლორტები?

—ხა—ხა--ხა!--ერთი აქ მოდით, ბიჭებო, რა ხუმარა ვინმეა, ყური დაუგდეთ; მსხლის ძირზე სტაფილოოო, ხა—ხა - ხა — ხარხარებდა გლეხის ბიჭი ამხანაგის ხუმრობაზე.

ბიჭებმა თავი მოიყარეს ხუმარას ირგვლივ და მეტი სიცილით წითლდებოდნენ.

– აბა, ახლა არ ვხუმრობ, როგორ უნდა დაამყნა ჩვენებურ მწარეზე ამერიკული ვაზი?

—ეეჰ, ეგ ხომ გუშინ გვასწავლა აგრონომმა. მწარე ვენახის ძირზე მესამე მუხლის ზემოდ.

—ტყუილია, ტყუილია,—აწყვეტინებს მეორე,—მეოთხე მუხლის ზემოთ.

—მეხუთე მუხლისა!

--მესამე მუხლისა, — არ აცლიდნენ ბავშები ერთიმეორეს ყვირილითა და ჟრიამულით.

— შეუძლებელია, ამხანაგებო, ასე შეუძლებელია. თუ აგრონომმა თვითონ ვაზზე არ გვიჩვენა სად და როგორ დავამყნათ, ისე მგონი ვერ დავიხსომოთ ეგ მუხლები.

—აკი გუშინ სთქვა, შემდეგ განაკვეთზე პრაქტიკულად გავ ვლითო,—დაურთო მეორემ.

—ბიჭებო, დაღამებას ქათამიც გაიგებს, თქვენ კი...—შემოიარა სკოლის ტექნიკურმა მომუშავემ გიორგამ.

ცივს და მყუდრო ღამეს მხოლოდ ქსანი ახმაურებს. ქსანგაღმა სოფლებიდან ჩანს სიბნელეში მბჟუტავი სანათურები.

სოფელს ჩაეძინა და ძილს მიეცა თვით შუაღამემდე მოხმაურე სკოლის საერთო საცხოვრებელი. შუაღამისას იყივლეს მამლებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7.

—მდინარეს რომ მოადგე, აი, დამდგარი გუბე რომ არის, აიღე და შიგ ჩაყარე, რომ ფუტკარი ჩაიღრჩოს, თორემ დაგეხვევა და დავიღუპებით. შენ იქამდე მოზიდე, იქ მეც დაგხვდები,—დაარიგა ჩოხელმა.

კარებიდან ბარბაცით გამოვიდა კოლა და ნაბადმოსხმული ნელის ნაბიჯით დაადგა ველს სკოლისაკენ. იორამიც უკან გაჰყვა და ნაგუბრის პირად კუნძს ამოეფარა.

სკოლის ფარღალალა ღობით შემორაგულ მიწაზე პატარა სოფელივით გაშლ ლია მრავალფრად შეღებილი მაშვრალ მწერთა ბუკები. ჩეროებში ზუის ფუტკარი და მზრუნველობით უვლის საზამთროდ შემონახულ სარჩოს. ფიჭის უჯრედებში ჩასხმულია ქარვისფერი თაფლი. ზაფხულს განუწყვეტელი შრომით დაქანცული მწერი შემოდგომიდან ჩადგა მყუდროებაში. კოლა მიადგა დანიშნულ ადგილს.ახედა ზემოთ, საერთო საცხოვრებელში მბჟუტავ სანათურს და ანაზდად შედგა, ჩაფიქრდა ამას არასდროს იფიქრებდა კოლა, რომ ის ქურდი იქნებოდა და ისიც სამეურნეო სკოლისა! როგორ უნდა შეხედოს ხვალ, ზეგ, აქაურ ამხანაგებს? როგორ შეხედოს ხეჩოს, რომელთანაც წლები უტარებია და რომელმაც თავისი ხელით დათალა ბუკები? იცის კოლამ, რა საშინელ საქმეს ჩადის, მაგრამ... ბიჭებო, ყველაფერი იორამ ჩოხელის ბრალია, კოლა ქურდი არ არის და მძარცველი. მაგრამ ჰეე, რა დროს ფიქრია, რული ეკიდება, დაღლილია, ბარემ დაამთავროს დავალება, წავიდეს, დაიძინოს,—და კოლამ გატეხა ღობე. სოფელში აყეფდა ძაღლი.

ცისფრად შეღებილი ბუკი გაჭირვებით ზურგზე მოიგდო და მდინარის ნაგუბარისაკენ დაეშვა. ჩაირბინა ბილიკი და გუბესთან შედგა.

—თავი მოხადე, რომ წყალი ჩავიდეს,—მოისმა იორამის ჩურჩული.

კოლამ ჩაიჩოქა და სკის სახურავს მუშტი აჰკრა. ბურთივით დახვეული ფუტკარი წამოიშალა, ამოფრინდა და მყუდროების დამრღვევის სახეს შეეფინა.

—უუუჰ!—აღმოხდა კოლას.

—სსს! სს!—მოუთმენლად შესძახა იორამმა.

გახელებული მწერები რისხვით დაესხნენ კოლას და ჰკბენდნენ სახესა და სხეულზე.

—ვაააი, მიშველეთ!—ხმის მთელი სიძლიერით იკივლა კოლამ.

—სსუ, შე სამგლე, დამღუპე,—აცახცახდა იორამი

—მიშველეთ, მიშველეთ!—ყვიროდა კოლა და დასიებული, ნაბადში გახვეული წყლის პირად ფართხალებდა.

იგრძნო იორამმა გამხელის საშიშროება, დატრიალდა, გამხეცდა, დავარდნილ კოლას ხის კუნძი დასთხლიშა და დაღმა ჭალებისაკენ მოქუსლა.

ბიჭმა იღრიალა და დადუმდა.

8.

—ბიჭო გიორგა, ბიჭო გიორგა!—ყვირილით წამოიშალენ მოწაფენი საწოლებიდან.

გიორგა დარაჯი უკვე სკოლას გასცდა და თოფი რამდენიმეჯერ გაისროლა.

ფეხზე დადგა სკოლა და სოფელი.

—სკოლა გაქურდეს, სკა წაიღეს,—გადავიდა ამბავი პირიდან პირში.

—ვინ ხარ? რა ამბავია?—გასძახოდა გიორგა, მდინარისაკენ თავქვე დაშვებული.

ხმა არსაიდან ისმოდა.

—საით ხარ? ვინ ხარ?—ყვიროდნენ აქეთ-იქედან.

დიდხანს ეძებეს უშედეგოდ.

—აი აქ, აი აქ,— შეჰყვირა გიორგამ და ნაბადში გახვეული კოლასკენ გადახტა.

—არა, არა, მე ქურდი არა ვარ,—ტიროდა სისხლიანი კოლა და ხელ-ფეხს ასავსავებდა.

—კაცო, ქურდობაში დაგიჭირეს და ქურდი არა ხარ?—კვიროდნენ გლეხები.

—ხეჩო, გიორგა, მე ქურდი არა ვარ,—ისევ ზლუქუნებდა კოლა და ჩოხელაანთ სახლებისაკენ იშვერდა ხელს.

ტიროდა კოლა, ტიროდა ჩადენილ დანაშაულს, ტიროდა თავის გამოუცდელობას, რომ ასე მოუფიქრებლად აჰყვა ვერაგი ჩოხელის სურვილებს.

გარშემო იდგა ძახილი და ჟრიამული.

—ამხანაგებო, რა დროს ხმაურია, წაიყვათ სკოლისკენ!—დასძახა მასწავლებელმა.

რამდენიმე ბიჭმა იგი სკოლისკენ გააქანა.

კოლა მსუბუქად აღმოჩნდა დაჭრილი.

9.

ნამდვილი ქურდი? ნამდვილი ქურდი მეორე დღესვე აღმოაჩინეს. იგი განთიადისას მოიყვანეს სკოლის შენობაში გლეხებმა და მოზღვავებულ ხალხში ჩააყენეს, როგორც მტერი და საზიზღარი ბოროტმოქმედი.

ხვალ მას საჯაროდ გაასამართლებენ გლეხები მაზრიდან ჩამოსულ ამხანაგებთან ერთად.

კოლა კი, კომკავშირის უჯრედის წინადადებით, დღეიდან ამ სკოლაში ისწავლის წიგნსა და კულტურულ მეურნეობას.

ირაკლი აბაშიძე.

# ტრაქტორი

მოდის მძიმედ, გუგუნებს,
მიწასავით შავია,
ბოლის კორიანტელში
აღარ უჩანს თავია.

არც კამეჩი უბია
და არც ხარი წიქარა,
ახო გასჭრა ხრიტინით,
ბელტი ბელტზე მიყარა.
ერთ წამს მთელი დღიური
გააშავა, გათხარა.
ჩვენი მიწა მოხნესო,—
ნიკომ დედას ახარა.
ახლა მამა სხვას არ სთხოვს
მომიხანით მიწაო,
იდღეგრძელოს, ჩვენს სოფელს
ვინც ტრაქტორი მისცაო!..

მ. ქარელიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახლოს მანქანებთან და დაზგებთან.

## 1. მთავარსახელოსნო.

ერთ-ერთი დიდი წარმოებათაგანი ტფილისში მთავარსახელოსნოა.

მთავარსახელოსნო განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დილით, როცა სპეცტანსაცმელში გამოწყობილი მუშები საყვირის ხმაზე რიგ-რიგობით და ნელი-ნელ მოემართებიან მანქანებისა და დაზგებისაკენ და თან მოაქვთ დღევანდელი დღის მუშაობის ჟუნარი. ისინი მოდიან კუნთებდაძარღვულნი და სახე ისე ულიმისთ, თითქოს-და უხარიათ, რომ გუშინ საღამოიდან დილამდე მუხლებში ქარგამოვლილ მანქანებს კვლავ აამოქმედებენ, დაიწყება ჩაქუჩების დაგა-დუგი, სამჭედლო საამქროში ცეცხლი აგუზგუზდება, ისინი სულ ახლოს მივლენ ცეცხლთან, ასე გგონია, სრულებითაც არ გრძნობენ მის სიმხურვალესო, და გაიმართება საერთო შრომა, სიხარული, ალტაცება და გამბედაობა.

### ძველ მუშათა არმია.

მთავარსახელოსნოში სამიათასამდე მუშაა. ამათგან გამოირჩევა ძველ მუშათა არმია, რომელსაც რამდენიმე ათეული წლის გამოცდილება აქვს. მათი ბალნიანი მკერდები, სახეზე აქა-იქ წაცხებული მაზუთი და სახის გამომეტყველება თქვენ გიმტკიცებსთ, რომ ისინი დაზგებთან დაბადებულან, შემდეგ დაზგებივით დავაჟკაცებულან, გამოუვლიათ მრავალგვარი გაჭირვება და ბრძოლა და საბოლოოდ მაინც გამარჯვებულნი დარჩენილან.

მათი უმრავლესობა ახლა საამქროების და საამქროს განყოფილებათა უფროსებია... დროდადრო ინახულებენ ახალგაზრდებს, რომლებიც სულ რამდენიმე თვე ან წელიწადია, რაც სახელოსნოში მუშაობენ; თუ საქმეს ცუდად აკეთებენ, შესწორებას შეიტანენ და თუ არა და სიხარულით ალტაცებულნი ბრუნდებიან უკან და ახალგაზრდების დაწინაურება და გამარჯვება საკუთარ დაწინაურებად და გამარჯვებად მიაჩნიათ. ძველ მუშათა არმია ჯარის მეთაურივით ჩამდგარია ახალგაზრდათა შორის, ისინი არიან სახელოსნოს მაჯისცემის გამომხატველნი და განვლილი დროების მემატიანენი.

### კომკავშირელთა ლაშქარი.

მთავარსახელოსნოში შვიდასამდე კომკავშირელია. შვიდასი კომკავშირელი და ისიც მხოლოდ ერთ წარმოებაში! ამიტომაც ხანში შესული მუშები მათ კომკავშირელთა ლაშქარს ეძახიან და მართლაც ის ლაშქარია და თავგამოდებით იბრძვის ყოველგვარი დაუდევრობის, ლოთობის, სამუშაო საათების უმიზეზოდ გაცდენის, ცუდი ხარისხის საქონლის დამზადების და მრავალი სხვა უარყოფითი მხარის წინააღმდეგ.

კომკავშირელთა ლაშქარმა შესძლო სახელოსნოს მუშათა შორის ლოთობის ძალზე შემცირება, ამისათვის მათ მიმართეს სოციალისტური შეჯიბრის სახით ლოთი მუშების ურთიერთ გამოწვევას—თუ რომელი მათგანი უფრო მალე დაანებებდა თავს ლოთობას და დაიცავდა იმ პირობებს, რომელსაც მოითხოვს მათი ყოფა-ცხოვრების, ჯანმრთელობის და წარმოების გაუმჯობესება. ეს იმათ ჩინებულად შეასრულეს. წარმოებაში ჩაბმული მუშის ლოთობა ყოვლად დაუშვებელია, რადგან ის სამუშაოზე გვიან ბრუნდება და ხშირად, თავბრუდახვეული, მანქანისა და დაზგების ნაწილებს აოხრებს.

ორთქლმავალ „საქართველოს კომკავშირელი“ს დამზადებაში ყველაზე დიდი შრომა მთავარსახელოსნოს კომკავშირელთა ლაშქარს მიუძღვის. ისინი თავგამოდებით მუშაობდენ ორთქლმავლის გასაკეთებლად და როცა მიზანს მიღწეულნი შესცქეროდენ ადგილიდან დაძრულ მანქანას, რომელიც ერთობ სწრაფად მიაქანებდა ჩამწკრივებულ რონოდებს,—უკანასკნელ მისახვევამდე ესროდენ მზერას. ეს იყო ერთი უდიდესი გამარჯვებათაგანი მათ მუშაობაში. და კი-



პიონერი ოჯახში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამერიკიდან ჩამოტანილი ტრაქტორი „ბიმანი."

დევ რაოდენ რამეს აკეთებს მთავარსახელოსნოს კომკავშირელთა ლაშქარი! ისინი თანდათან იწრთვნებიან მუშაობაში, სწავლობენ ძველ მუშათა გამოცდილებით, და რწმუნდებით, რომ ეს მოზღვავებული ახალთაობა ღირსეულად შესცვლის ძველ მუშათა არმიას.

### სოციალისტური შეჯიბრება.

უკვე ერთი წელიწადი სრულდება, რაც წარმოებებში შემოღებულ იქნა სოციალისტური შეჯიბრება; ამ მხრივ მთავარსახელოსნო ტფილისის ყველა წარმოებაზე წინ დგას. იქ სწარმოებდა და სწარმოებს როგორც ამქრული, ისე ცალკეულ მუშათა შორის შეჯიბრება. ერთ საამქროს შეჯიბრში გამოწვეული ჰყავს მეორე; მათ შორის დადებულ ხელშეკრულებათა უმთავრეს მუხლებად აღიარებულია სამუშაო საათების გაცდენის, ცუდი ხარისხის საქონლის დამზადების და მასალების გამოუყენებლობის წინააღმდეგ ბრძოლა. ამასთანავე ერთად იბრძვიან შრომის თვითღირებულების შემცირების და წარმოების გეგმაშეზომილი წარმართვისათვის. მაგრამ მთავარსახელოსნოს მუშები მხოლოდ ამქრული და ინდივიდუალური შეჯიბრების წარმოებით არ შემოფარგლულან, მათ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ტფილისში არსებულ წარმოებათა უმრავლესობა და აგრეთვე ბაქოს და საბჭოთა კავშირის საწარმოო ცენტრების ქარხნების და ფაბრიკების მუშები.

სოციალისტური შეჯიბრების წარმოებით მთავარსახელოსნოს მუშებმა შესძლეს წარმოების დიდად გაუმჯობესება, ოჯახურ და პირად ცხოვრებაში არსებულ ნაკლთა სათანადოდ გამოსწორება და სხვა მრავალი სასარგებლო და მისასალმებელი საქმის გაკეთება. განსაზღვრული დროის განვლის შემდეგ მუშებმა შეაჯამეს შეჯიბრების შედეგები, და პირვანდელ მუშაობაში დაშვებულ შეცდომათა გამოსწორების მიზნით კვლავ ფართედ გაშლილია სოციალისტური შეჯიბრების ფრონტი.

### მუშათა გამოგონებანი.

მანქანის გაუმჯობესება და მით უმეტეს მისი გამოგონება ძნელი საქმეა, მაგრამ ეს არ არის გასაკვირი მაშინ, როცა ამას მუშები სჩადიან, რადგან მუშებსა და მანქანებს შორის მჭიდრო კავშირია.

კერძოდ მთავარსახელოსნოში მუშათა გამოგონების რამდენიმე შემთხვევა იყო.

მუშების მიერ გამოგონებულ მანქანათა ნაწილები მარტივია, მაგრამ სამუშაო დროის მომგები და საქონლის ხარისხის გამაუმჯობესებელი. ამიტომაც მუშათა გამოგონებას დიდი ყურადღება ექცევა.

ძნელი წარმოსადგენია ის აღტაცება და სიხარული, როცა მუშა-გამომგონებელი გაიმარჯვებს; მაშინ მას გამოგონებული მანქანის თითოეული ნაწილიც-კი მუშაობის ენერგიას და გამბედაობას მატებს.

ერთხელ ახალგაზრდა მუშამ გამოიგონა ახალი მანქანა. ის გულისფანცქალით მოელოდა თავისი გამოგონების შემოწმებას ინჟინრებისაგან და როცა ეს უკანასკნელი სწარმოებდა და გამოგონება მიზანშეწონილად და კარგად შესრულებულად იქნა ცნობილი, მაშინ დამსწრე მუშებმა გამომგონებელი ხელში აიტაცეს და „ვაშა"ს ძახილით რამდენიმე წამს ასე ხელდახელ ატარებდენ. ქარხნის კომიტეტმა მუშა-გამომგონებელი სათანადო სამუშაოზე დააწინაურა. მთავარსახელოსნო—ეს არის მუშებისა და დაზგების დიდი ოჯახი, სადაც გამალებით ტრიალებენ მანქანათა ღვედები და უამრავი მუშა აკეთებს ჩვენი ქვეყნის საერთო საქმეს.

**შალი.**



ტრაქტორისტ-მექანიკოსები სოფლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიშკა იოჟიკ

(პოემა „პაცანების“ ცხოვრებიდან)

როგორც არაბი,
შავი სახეზე,
ვით გარუჯული
უდაბნოს მზეზე,
რომ ჰგავს მათხოვარს
ძინძგლიან ჩვრებით,
ავსტრალიელ ველურს
გაჯეჯილ თმებით,
დადის ბარბაცით,
როგორც რომ მთვრალი,
მშიერ მგელივით
უელავს თვალი,
დასისხლულთ უგავს
ფრჩხილები ხელზე,
წინ გაწვდილები,
ვით რკინა-ცელზე,
შავ ტუჩთ კი აპობს
კბილები თეთრი,
ალბათ, ფრჩხილებზეც
უფროა მკვეთრი!
და მთელი არსი,
ლანდად ქცეული,
ვით ბნელეთისგან
გამოწვეული,

ერთხელ ქუჩაში
წინ შემეფეთა,
და ეს შემთხვევა
მეც მას აქეთა
თან მდევს იმ ჩრდილად:
მტანჯავს, მაწვალებს,
გულს დარდით მივსებს
და ბინდით თვალებს,
თუ ის ქუჩაში
როგორ ჯდებოდა,
ჭუჭყი, ტალახი
ტანს ეკვრებოდა,
ხან კი წვებოდა
პირდაპირ მტვერში,
ძნელად არჩევდით
რომლისგანც ფერში,
ათევდა ღამეს
სანაგვე ყუთში,
იქექებოდა
მუნ ყოველ წუთში,
ხარბი მუცელის
გაძღომის ნდომით,
ან ხიდის ბურჯებს
მისდევდა ძრომით

და სადღაც ხვრელში
თავს აფარებდა:
ზამთარს თუ ზაფხულს
აქ ატარებდა...
და მასთან — ოთხი,
ხუთი სხვაც, ექვსი,
სულ „პაცანები“,
ყველა მის დღეში;
ჩემთან თქვენც, ალბათ,
ხართ მის მნახველი:
მიშკა იოჟიკ —
მისი სახელი.
შორეულ ვოლგის
დამრეც ნაპირებს,
ქარი რომ ტალღებს
ზრზენით ატირებს,
ოდესმე გლეხი
ცხოვრობდა საბა,
მოჰყავდა პური
მინდორში ჭარბად...
მაგრამ უმუხთლა
ბედმა ერთ წელში
და ნამჯის მეტი
არ შერჩა ხელში,

# ჯანუი

შვიდსართულიანი სახლი ქვის უზარმაზარ ყუთს მოგაგონებს. სახლის გვერდზე პატარა ბაღია. ახლა, ამ ზამთრის დასასრულს, მას რაღაც მწუხარე, უფერული სახე მიუღია. ტოტებით დახლართული ხეების უკან სიძველისაგან გაშავებული ღობეა, მის იქით ქუჩა. გენო თავისი ფანჯრიდან ხშირად იყურება ქუჩისაკენ, უცქერის ტრამვაის მოძრაობას, განსაკუთრებით საღამოობით, როცა ელექტრომავთულებიდან სცვივა ბრჭყვიალა მწვანე სხივები. იგი იზიდავს, ახალისებს მა'.

— ისევ ფანჯარასთან დგახარ, გინდა კიდევ გაცივდე?—ხშირად უწყრება დედა.

გენო მოკრძალებით შორდება ფანჯარას, არ უნდა დედის გაჯავრება, არც შეუძლია. რა ვუყოთ, რომ მკაცრი არის, სამაგიეროდ გრძნობს დედის უსაზღვრო სიყვარულსაც.

გენო უკვე თორმეტი წლისაა; ამ უკანასკნელ ხანში იგი რაღაც გამოირკვა, გამოცოცხლდა, ბევრი რამ გაიგო და გაიცნო. გაიგო აგრეთვე ისიც, რომ მოსკოვი, სადაც თვით ცხოვრობს, საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქია.

გენოს მამა, ინჟინერი, კომუნალური მეურნეობის წყალთა სამართველოში მსახურობს, მწვანე ქუდი აქვს. გენო სკოლაში დაიარება, მეორე ჯგუფის მოწაფეა, უკვე მოზრდილი ბავშია.

წელს, ამ ბოლო დროს, ბევრი რამ მოხდა. ზამთარში „ძია ლენინი “ გარდაიცვალა. სკოლაში სამგლოვიარო დღე იყო. მოხუცი ძველი რევოლუციონერები სიტყვებს ამბობდენ. ბევრი რამ ითქვა ლენინზე. ყველანი სწუხდენ, ბავშებიც ტიროდენ.

საღამოს, როცა გენო შინ დაბრუნდა, მამის ხმა გაიგონა:

— ჰო, ნეტავი კიდევ ეცოცხლა! რა მართალი ადამიანი იყო!

— შენ საიდან იცი მისი სიმართლე?—უხეშად შეუტია გენოს დედამ.

დედის სიტყვები გენოს ლახვარივით მოხვდა, მამისა კი ღრმად ალიბეჭდა მის გულში: „ლენინი სიმართლის და ჭეშმარიტების მქადაგებელი იყო, სწორი და შეუპოვარი ადამიანი“. ამ სიტყვებმა მოხიბლეს გენო და მის არსებაში გაიკეთეს მტკიცე საბუდარი.

საქმე იქიდან დაიწყო, როცა კომუჯრედელმა კოლამ დაიწყო ყველა ბინის შემოვლა. იგი ბოდიშით უკაკუნებდა ყველა კარს და ზრდილობიანად ურჩევდა ყველას:

— ბავშებიც უნდა შევაკავშიროთ. კოლექტიურად უნდა ვიცხოვროთ. ჩვენ მომავლის პიონერები ვართ.

გრიშა გრიმბაუმიც მას დაჰყვებოდა და ბოლოს, როცა ორივენი 95 ნომერში მოვიდენ, ხრიაპკინიც მათ შეუერთდა.

გენო მეექვსე სართულში ცხოვრობდა, მე-98 ბინაში. იგი მიეგება ბავშებს და მანამ კოლა ესაუბრებოდა მის დედას, ბავშები გენოს უპასუხებდენ:

— პიონერებს ვკრებთ და ვაერთიანებთ.

— ბოი-სკაუტებს?

— არა, წითელ პიონერებს. ეს სულ სხვაა, საკუთარი დამოუკიდებელი ორგანიზაცია,—ამაყად უპასუხა გრიშამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან ველები
ჩასწვა გვალვამა...
გლოვით აივსო
ოჯახის მამა!
შეუღლებულიც
ერთის წლის ცოლი,
აი, ვინც ჰყავდა
გლეხს გულის ტოლი!
და სულ ორი თვის
პატარაც ჩვრებში,
განირჩეოდენ,
აი, რით სხვებში!
მაგრამ ატირდა
აკვანში ბავში...
ამ ხმამ ზარივით
დაჰკრა გლეხს თავში:
დედას ძუძუში
რძე სულ გაუშრა,
რა გლეხს ოჯახში
საზრდო გაუქრა.
დაიძრა გლეხიც
თავის ცოლ-შვილით,
კუჰში—ქვით, გულშიც—
სიკვდილის ჩრდილით...

*
* *

საბამ „მანიჩის“
იქით, ვაკეზე,
გადმოაბიჯა
რა ცოლის ლეშზე,
კვლავ პირიც არ ჰქნა
„გულის ტოლისკენ“
და გზას მოჰკეცდა
სტავროპოლისკენ...
მაგრამ ეწია
მასაც ის ბედი
და შიმშილის წინ
მოსდრიკა ქედი!
მხოლოდ, გზად ქოჩ ხალხს
რძეს რომა სთხოვდა,
მით ბავშს იტანდა:
მას „მიშკა“ სწოვდა...
და ასე სული
თუ ბავშიც თანა
სტავროპოლამდე
მან მოიტანა...
აქ კი მიუგდო
ბავშს იგივ ბედი,
რამაც თვით საბას
მოსდრიკა ქედი!..

*
* *

გამვლელმა ქვრივმა
იპოვა ბავში
და წაიშინა
ხელები თავში,
მიიღო ყრმა და
ტანჯვით აღზარდა...
რა სდევდა „მიშკას“
სხვა, ტანჯვის გარდა?
და, ჰა, რა გახდა
იგი წლის შვიდის,
ქვრივმაც ინება
„წაღება წიგნის“.
ასე მეორედ
დაობლდა „მიშკა“,
დაობლდა არა,
ხელახლად იშვა
და კარის-კარად
წოწიალ-თრევით
ის ყოფნის შრეებს
დაუყვა ქვევით...

*
* *

—ვის სდევს ეს ბრიყვი
მილიციელი?
მოუკვდეს თავი!
გაუხმეს ხელი!
ფუ, მაგათ წესებს:
ქუჩაში ბავშსაც
არ აროწინებს
და უპატრონოს
რომ ხედავს ასეთს,
ზედ ძალას იჩენს,

— გენო, დაჯექ შენს ადგილას!—შენიშნა დედამ.

გენომ უხერხულად იგრძნო თავი, შერცხვა, ლოყები დაუწითლდა, მაგრამ მაინც დაჯდა თავის ადგილას—მაგიდასთან. კოლა კიდევ შეეკითხა:

— ერთი სიტყვით, სიაში არ შევიტანოთ?

— არა, არა, საჭირო არ არის!—უპასუხა დედამ.

ბავშები წავიდენ, თუმცა სააღრიცხო ფურცელი მაგიდაზე დასტოვეს. გენომ კი ჩუმად, ქურდულად ეს ფურცელი მამის საწერ მაგიდაზე გადასდო.

—

დილით ბაღში დოლის ხმა გაისმა. დოლს გრიშა უკრავდა. დედა სამზარეულოში იყო. ჩაიხედა ძირს, ეზოში, სადაც აუარებელ ბავშს მოეყარა თავი. გრიშას ყელზე წითელი ყელსახვევი ჰქონდა. მას ირგვლივ ბავშები შემოხვეოდენ. ვასო ცალ ფეხზე ხტოდა და მხიარულად ყვიროდა. გენო ფანჯარას დაშორდა. დოლის ხმა მას გულს უკლავდა. მზის სხივები ათბობდა, აშუქებდა გენოს ოთახს. ბრჭყვიალა სხივებმა თვალთ დაულამეს გენოს და წარმოიდგინა თავისი თავი ბაღში, ბავშებთან ერთად.

— ბოი-სკაუტი კი არა, პიონერებია... ეს სულ სხვაა... წითელი ყელსახვევებით.

ამ დროს დედა შემოვიდა, გენოს შეხედა, თან გაუჯავრდა:

— ისევ ცუღლუტობ? ზარმაცობას თავი დაანებე! გაკვეთილები მოამზადე?

მე-95 ბინაში დედამ სცემა ვასო ხრიაპკინს:

— მე შენ გიჩვენებ პიონერობას, ფეხსაცმლის



მიდიან კოლექტივში მუდმივ სამუშაოდ

გენო ვასოსთან იყო ამ დროს, გარინდებული უგდებდა ყურს მის გაკიცხვას, ვასო კი თავჩაქინდრული უცრემლოდ სლუკუნებდა.

— აი, ხომ ხედავ, გენოც აქ არის, მათთან არ დადის, ურჯულოებში ყოფნა მას არ უნდა.

— სრულიადაც არა! გენოსაც ჩემსავით ნებას არ აძლევენ,—მიუგო ვასომ.

—ჰო! მართალია, დედა არ მიშვებს,-უპასუხა გენომ,—სურვილი კი ძლიერ მაქვს.

დედამ ხმა აღარ გასცა. ვასომ მადლიერი თვალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევნით გულს აცვეთს!..
ეს წყევლა უჩანთ
შვებად გამვლელებს,
როცა ქუჩაში
წესრიგის მცველებს
ხედვენ ამ საქმით
გატაცებულებს:
ხელებს რომ ჰრევენ
„პაცანთ“ კრებულებს,
არა სიძნელის
წინ არ დრკებიან
და საითკენლაც
ერეკებიან...
— საით? საითკენ?
— ვინ გეკითხებათ?
— როგორ? კაცის ძეთ
რად ჰსახავთ თხებად?
— თხები თქვენ თვით ხართ!
ეს ნაბრძანები
გვაქვს, ვით მორიგი
ამოცანები!..
მშრომელი ხალხის
ხელისუფლება
აქ მილიციელთ
თუ მიუხვდება,
თორემ გამვლელთა
უგულო ჯოგი
თავშიც ქვით არის
და გულშიც—ზოგი!..

* * *

აი, მაღლობზე
სახლების რიგი
რომ ჩანს, ქალაქად
თქმულია იგი,
ბავშთა ქალაქად,
ბავშთა სამყოფად!
აი, ეს ცნობა
მიიღეთ ცნობად
და თან გამომყეთ
მის სანახავად:
საქმისთვის და არ
დროს მოსაკლავად...
სოციალისტურ
გარდაქმნის ხანში
თქვენ ვერ გადგებით
ამისგან განში,
და მიმყვეთ უნდა,
ვით თვისიანი,
სადაც პატარა
ჩვენი და-ძმანი
ახალ ქვეყანას
აგებენ თვისას
და მით საერთოს
ელტვიან მიზანს!..
აქ, ამ და-ძმებში,
ჩანს ერთი ბავში,
რაღაც ერჩევა
ის ყველა სხვაში:
მოშვებულ ნებით...
მოღუშულ სახით...
თქვენ მაინც სტკბებით
გარეგნულ ნახვით,
რადგან მოუვლელ,
უვარცხნ-უბანი
არ ჩანს არცერთი
იმათთაგანი,
მილიციელთა
აქ რომ მორეკეს,
სწორედ მას შემდეგ
და მეორე დღეს,
როცა ქუჩაში
მილიციელებს
გამვლელნი წყევლით
აშვერდენ ხელებს
და აფურთხებდენ...
და უკურთხებდენ...
იქ რომ ისინი
„პაცანებს“ ჰკრებდენ!..

* * *

აქ, ამ ბავშთ შორის
და ამ და-ძმაში,



ტრაქტორის კურსდამთავრებულები

ნაგრძო:

— ჩავეწერები! სულერთია, ვერავინ შემაჩერებს! თუ მამაჩემი მალე დაბრუნდა, მდგომარეობაც შეიცვლება. ნუ გეშინია. შენც შემოგვიერთდები, ჩვენთან იქნები, გაიგე?

— მე... დედა...

— ჰო! აბა, ნახე, როგორ მოვახერხო!

ვასომ ეს სთქვა და ამ დროს დედის ხმაც შემოესმა

— ვასო! არ გესმის? შეშა მოიტა! აბა, ჩქარა!

გენო შინისაკენ წავიდა, თანაც ფიქრობდა: „ვასო რა უშავს, ნეტავი მას“. გაიხსენა მამამისიც—ღონიერი ჯანსაღობით სავსე, ნახშირითა და ჭვარტლით გამურული მუშა. იგი არ ხუმრობს და, ცხადია, ნებასაც დართავს რომ...

საღამოს გენოს მამაც დაბრუნდა შინ; ჩაის სმი დროს მაგიდიდან ანკეტა აიღო და გადასინჯა.

— ნებაყოფლობით ჩარიცხვა შეიძლება?—მოკრძა ლებით იკითხა გენომ.

— სად?

— პიონერად.

— ღვთის წინაალმდეგ? ურჯულოთა რიგებში?—შე ნიშნა დედამ.

გენომ ჩაი მოსვა, თანაც მამას თვალს ადევნებდა მამამ დაკვირვებით, აუჩქარებლივ გადაიკითხა ანკეტა თანაც ჩაის შეექცეოდა, შემდეგ უსიტყვოდ, ჩუმად და კეცა ქაღალდი და იქით გადასდო.

მართალია, აწეული სიტყვა, ჩხუბი, უსიამოვნება ოჯახში მას არ უყვარდა, ვერ ითმენდა. გენომ ესეც კარ გად იცოდა.

რაწამს დილით გაისმის დოლის ხმა, მთელი სახ ლიც ახმაურდება, აირევა: ბავშები, წიგნებით ხელში ქუდმოგლეჯით მირბიან ძ rის, ეზოსაკენ, დედებიც უკა ჩხუბით, დავიდარაბით მისდევენ ქუდებით, თავშალებით ხელში. ბავშები ყვირილ-ზრიალით გაურბიან დედებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც გითხარით,
ჩანს ერთი ბავში,
გამორჩეული
სხვებშიგან დიდად:
სახემოღუშვით
და მაინც მშვიდად...
არ შესწევს რბენის
თავი, არც ხტომის,
უყვარს კი სწავლა
და წუთშიც შრომის
განსაკუთრებულ
ნიჭს იჩენს იგი!
სანიმუშოა
მისი წესრიგი!
მაშ, ვთქვათ, ხანდახან
რისთვის ღონდება?
აჰ, ალბათ, ამ დროს
თუ აგონდება
შორეულ ვოლგის
დამრეცი პირი,
იქ და კვლავ გზაშიც
განვლილი ჭირი!
და გლეხი საბა,
თუ გლეხის ქალი,
მშობელი დედა,
ეს „ნატვრის თვალი“,
ვისი ალერსიც
მას არ უცდია...

მაგრამ, ჰა, ხელი
გამოუწვდიათ
მისკენ სხვა დედებს:
ათასს!.. მილიონს!..
მიტომაც ასე
ის მოვლილია!..
მიტომც სძგერს მშვიდად
უბეში გული,
ადრე სხვა გრძნებით
იქ აღგზნებული,
როს მას ქუჩაში
ვჭვრეტდით სხვა დროში,
სად მას ეძახდენ
„მიშკა იოჟიკს“.
როგორც არაბი,
შავი სახეზე,
ვით გარუჯული
უდაბნოს მზეზე,
ჰგავდა მათხოვარს
ძინძგლიან ჩვრებით,
ავსტრალიელ ველურს—
გაჯეჯილ თმებით,
დაბარბაცებდა,
როგორც რომ მთვრალი,
და მგელს დამშეულს
უგავდა თვალი,
დასისხლულებსაც—
ფრჩხილები ხელზე,

წინ გაწვდილები,
ვით რკინა-ცელზე...
და ამ ფრჩხილებზეც
კი უფრო მკვეთრი,
ტუჩით ჰკვეთდა მხოლოდ
კბილები თეთრი,
შავ-შავ ტუჩით, როგორც
ზანგის ჩარბები!..
დღეს იქ შავად ჩანს
მხოლოდ წარბები,
და ეს „სიშავეც“
ისე, თვალს ხვდება,
თორემ მკითხველი
აქ თვით მიხვდება,
ძე ჩრდილოეთის,
ვოლგის მხრის შვილი,
აქ შორის ქვეყნით
გარდმოხვეწილი,
იქნება თუ რაც
შავ თმის პატრონი.
მისი „სიშავის“
წარვიდენ დრონი!..
ის დღეს ბუბნოვი
არის მიხელი,
სახით—როგორც რძე,
და თმებწითელი!..

**ნ. ზომლეთელი.**

---

მათ არ სურთ ქუდები და თავშალები, მოითხოვენ მხოლოდ წითელ ყელსახვევებს.

გაზაფხულის დღეები მიიწურა. სახლის ირგვლივ ჭუჭყიანი თოვლი უკვე დიდი ხანია გადნა. ზამთარში დაგროვილი ნაგავი, ჭუჭყი ბაღიდან უკვე გაჰქონდათ. დედამიწა გათბა, ნიადაგი გაშრა და ბავშები მთელი დღეობით ბაღისაკენ მიიჩქარიან, მირბიან, პიონერთა დისციპლინას იცავენ.

— სმენა! სწორდით!

დოლი გრგვინავს, შემდეგ მღერიან, წინამძღოლს ესალმებიან.

გენომაც კიბე ჩამოირბინა, ლობესთან გაჩერდა, ბაღისაკენ იცქირება. პიონერები ვარჯიშობენ, მწყობრად დადიან, მღერიან. მერე ალაყაფის კარს მიუახლოვდებიან და დაიშალენ თავთავიანთი გზით—სკოლისაკენ.

გენო ხშირად ვასოს უცდიდა—სკოლისაკენ ერთი გზა ჰქონდათ. ვასოს მუდამ პიონერებზე ჰქონდა საუბარი: ჩვენი რაზმი ორი ჯგუფისაგან შესდგება; ეს რაზმი მე-78 ნომერია, მე-III რაიონზეა მიწერილი.

საღამოზე როცა გენო საწოლში იწვა, ჯერ კიდევ ძილი არ მოსდიოდა, მოესმა მამის ხმა:

— არ შეიძლება ბავშის ასე ტანჯვა-წამება, მეტისმეტია, არა გვაქვს ამის უფლება! გესმის?

— არამც და არამც!—მკაცრად მიუგო დედამ.

დედის სიტყვებმა გული დაუწვეს და ეს-ესაა კიდევაც უნდა ატირებულიყო მაღალი ხმით, მაგრამ თავს სძლია. ამ ბოლო დროს იგი რაღაც შეიცვალა, მეტისმეტი მგრძნობიარე გახდა, დაუდევარი, გულმავიწყი. გაკვეთილებს ისე ველარ ამზადებდა, როგორც წინათ, გული აუცრუვდა, .მასწავლებლის ახსნა-განმარტებას ვერ გებულობდა, ვერ ითვისებდა.

— არა გვაქვს უფლება, შენის აზრით?—დედამ საუბარი განაგრძო.—იცი, რასა მღერიან? „ძირს მღვდელი, ხატი და ჯვარი“.

მამა არას ეუბნებოდა, იგი გაზეთს კითხულობდა, დედა წინდას აკერებდა.

სიჩუმეა. გენოს არა სძინავს. იგი იტანჯება, სული აქვს რაღაც შეხუთული, უნდა ღრმად, თავისუფლად ამოისუნთქოს. სიჩუმე ბორკავს მას, მეტი მოთმენაც აღარ შეუძლია, მეორე გვერდზე გადაბრუნდება, კბილებს აკრაჭუნებს, გული უცემს, ნაღვლიანი ცრემლები ახრჩობს მას.

დროგამოშვებით გენო იპარება ბაღისაკენ, შორიდან უცქერის, სტკბება პიონერთა თამაშით, ვარჯიშობით, მოძრაობით და სიმღერით. გული წყდება, თანაც თავში ერთი აზრი უტრიალებს: გაიპაროს შინიდან შორს, მოსცილდეს მშობლებს, გახდეს თუნდაც თავისუფალი მონადირე, გაიკეთოს წითელი ყელსახვევი, ივარჯიშოს და იმღეროს... იგი ველარ უძლებს და გარბის შავი კიბისაკენ. იქ, სიბნელეში, მარტოობაში, ცოტა არ იყოს, დამშვიდდა, ჩამოჯდა კიბის საფეხურზე და ჩუმად ტიროდა, ცრემლებიც ღაპა-ღუპით ჩამოდიოდა.

ერთ მშვენიერ დღეს, ნასადილევს, გენოს ხრიაპკინი ესტუმრა. გენო მაგიდასთან იჯდა და ხატავდა. იგი გადაფითრებული იყო, რაღაც სევდას მოეცვა, უხალისოდ მუშაობდა. ხრიაპკინს ყელზე წითელი ყელსახვევი ჰქონდა.

(გაგრძელება იქნება)

**მატე ზალკა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შევისწავლოთ ჩვენი პროლეტარული მწერლობა



ი. დავითაშვილი

## წერილი პირველი

მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა ოქტომბრის რევოლუციის წინ შეერთებული ძალით იბრძოდა მეფის მთავრობის წინააღმდეგ. ამ მიზნით ის აარსებდა მტკიცე რევოლუციონურ ორგანიზაციებს, რომლის რიგებში ირაზმებოდენ მშრომელი ხალხისათვის თავდადებული მებრძოლნი.

კლასობრივი ბრძოლა ახალი ამბავი არ არის.

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, როდესაც გაჩნდა კერძო საკუთრება, ადამიანები დაიყვნენ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებად. ერთი ჯგუფი გაბატონდა მეორეზე. აქედან დაიწყო დაჩაგრულთა ბრძოლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ; მონათმფლობელობას ბატონობა სცვლიდა, ბატონობას—კაპიტალისტური წესწყობილება, მაგრამ მშრომელთა ჩაგვრას ბოლო არ ელებოდა. ამ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდატეხის პერიოდებში კლასობრივი ბრძოლა იყო ყოველი ეპოქის მთავარი დამახასიათებელი.

საბოლოოდ მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ დაამტვრია ძველი ქვეყნის ბორკილები და ამით ძირს დასცა მუქთახორების, ნაძირალების და მათი ამქრების დიქტატურა.

ამ რევოლუციის წინ მუშათა კლასის წიაღში წარმოიშვა პროლეტარული მწერლობა; იგი წარმოიშვა ღარიბთა ქოხებში, ქარხნებში, დაზგებთან და სამჭედლო ქურებთან. მშრომელ ხალხს აქვს თავისი იდეოლოგია — ეს არის მარქსიზმი, მას აქვს საკუთარი მწერლობაც, რომელიც ემსახურება მის სასიცოცხლო ინტერესებს და ხელს უწყობს კლასობრივი ბრძოლის წარმატებით დამთავრებას.

გაბატონებულ კლასებსაც ჰქონდათ თავისი მწერლობა. ეს მწერლობა წარმოადგენდა ბურჟუაზიის ხელში მძლავრ იარაღს იმისთვის, რომ დაებნელებინათ მშრომელი მასების გონება. პროლეტარული მწერლობა კი, რომელმაც მიზნად დაისახა მუშათა ჭირ-ვარამის შემსუბუქება, თავიდანვე მოექცა იმ კალაპოტში, რომელშიაც მიმდინარეობდა რევოლუციონური ბრძოლა.

დღეს დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე დამყარებულია პროლეტარიატის რკინისებური დიქტატურა. ამიტომ პროლეტარული მწერლობა თავისუფლად იზრდება, მაგრამ ძველად ასე არ იყო...

დ. ჭონქაძეს, რომელმაც ხმა აიმაღლა ბატონყმობის წინააღმდეგ, დევნა დაუწყეს. მან მოუწოდა გლეხებს ებრძოლათ დამყაყებული წყობილების გასანადგურებლად.

პირველი პროლეტარული მწერალი საქართველოში იყო **იოსებ დავითაშვილი.**

### 1. ი. დავითაშვილი.

ი. დავითაშვილი დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში, სოფელ რუისში, 1850 წელს. მან ბავშობიდანვე მწვავედ იგრძნო მაშინდელი ცხოვრების სიდუხჭირე. თორმეტი წლის იოსებს გარდაეცვალა დედ-მამა; ამის შემდეგ მან დაიწყო ძმასთან ცხოვრება. ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა იოსები, ამიტომ გაიქცა ოჯახიდან და გორში რომელღაც დურგალთან დადგა შეგირდად.

ამის შემდეგ ძმამ საბატონო გადასახადის ასანაზღაურებლად მისცა იოსები მებატონეს, საიდანაც მან თავი ძლივს დააღწია.

16 წლის იოსებმა მიჰყო ხელი დურგლობის შესწავლას. იყო შეგირდად ჩუქურთმის მჭრელთანაც. წერა-კითხვა დამ შეასწავლა.

ერთხანს იოსები თელავშიც მუშაობდა. მთელი თავისი ცხოვრება მან საშინელ სილატაკეში გაატარა. იგი გარდაიცვალა 1887 წელს.

ი. დავითაშვილის მწერლობა თავის მთავარ მიზნად ისახავდა მშრომელი გლეხობის, ხელოსნების და მუშების აუტანელი მდგომარეობის მხატვრულ ასახვას. მის ლექსებში ცხადად მოჩანს, თუ როგორ იზრდება რევოლუციონური მოძრაობის პირველი ტალღები გლეხობის ფართო მასებში: აი, რას ეუბნება გლეხი თავადს:

„მ ძღარი ხარ და დამცინი,
მეუბნები „მხეცო მუშა“,
დრო **მოვა, რომ დაგამტვრიო**
**მე, უძლურმა, როგორც შუშა“.**

ასეთი დრო მოვიდა. ეს არის ოქტომბრის რევოლუცია. ამ რევოლუციის გარიჟრაჟის მოახლოვებაზე ოცნებობდა ჩვენი პოეტი. მას მთელი არსებით სძულდა ძველი წესწყობილება. ამიტომ ყოველ ლექსში მკითხველი გრძნობს მუქარას მუქთახორების წინააღმდეგ. სამაგიეროდ დავითაშვილი დიდი მზრუნველობით შეჰხარის ახალთაობას, სურს იგი გამოიყვანოს გაჭირვებიდან და ამიტომ ყველას სწავლისაკენ უთითებს:

„შრომისა შვილო, გლეხო პატარავ,
ისწავლე წიგნი, ეცადე ჩქარა!
შემდეგ წიგნისა — თოხნა და ბარვა,
არა სხვასავით ხვეჭა და პარვა“.

ი. დავითაშვილს აწუხებს მუშის უბედური ცხოვრება, ის გრძნობს იმ სიდუხჭირეს და სივალალეს, რომელიც ყოველ წუთს თან სდევს მშრომელის ყოფას. მაშინ მეფის მთავრობა ბატონობდა და იმ დროს: „ის შრომობს, სხვები ძღებიან“. აი ამ მოვლენის წინააღმდეგ ილაშქრებს დავითაშვილის მთელი პოეზია.

ი. დავითაშვილს აქვს მრავალი საბავშო ლექსიც. ამ ლექსებში პოეტი ეალერსება გლეხის პატარა ბავშებს, ამხნევებს მათ ისწავლონ და ამით დაახწიონ თავი სიღარიბეს. დავითაშვილის მწერლობა—ეს იყო გაბედული იერიში ძველი ქვეყნის წინააღმდეგ; მაშინ კიდევ მთლიანად ჩამოყალიბებული არ იყო მუშათა მოძრაობა და ამიტომ ვხედავთ ი. დავითაშვილის შემოქმედებაში მრავალ შეცდომას. ეს შეცდომები იმაში გამოიხატება, რომ პოეტს არ ესმის კარგად კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობა, ის მოუწოდებს მუშას ილოცოს და ამით შეიმსუბუქოს ტანჯვა. მიუხედავად ამისა, ი. დავითაშვილის შემოქმედება მაინც ძვირფასია ჩვენთვის, მან მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა პროლეტარულ მწერლობას.

თანამედროვე პროლეტლიტერატურამ პატივი უნდა სცეს თავის პირველ მამამთავარს.

სახელგამის მიერ გამოცემულია ი. დავითაშვილის ლექსთა კრებული.

გ. ნ-ლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეცნიერება და ტექნიკა

### 1. ხელოვნური კაუჩუკი

ქიმიკოსმა კლეიბერმა (ბაზელი, შვეიცარია) გამოიგონა ახალი წესი ხელოვნური კაუჩუკის დამზადებისა. მინერალური ზეთებიდან და მათი ნარჩენებიდან კლეიბერის მიერ დამზადებული სუროგატი (ნაწარმოები) შეიძლება გადადუღდეს კაუჩუკის მისაღებად; იგი გაცილებით უფრო ელასტიურია, ვიდრე ბუნებრივი კაუჩუკი და ექვსჯერ უფრო იაფი—კილოგრამი ღირს 20 კაპ.

კლეიბერის გამოგონება, რომელმაც, უცხოეთის გაზეთების აზრით, გადატრიალება უნდა მოახდინოს რეზინის მრეწველობაში, საექსპლოატაციოდ გადაეცა გერმანულ ფირმას.

### 2. ვაგონი — ჰაეროპლანი

გერმანიაში გამოსცადეს ვაგონი საჰაერო ხრახნილით; ვაგონში დადგმულია ორი 250-ძალიანი მოტორი. ერთი პროპელერი მოთავსებულია ვაგონის წინა ნაწილში, ხოლო მეორე—ბოლოში.

ვაგონი-ჰაეროპლანი საათში 100 კილომეტრს გადის.

### 3. „მფრინავის თანაშემწე“

ასე უწოდეს ინგლისელებმა ახალ გამოგონებას, საშუალებას რომ აძლევს მფრინავს თავი გაანებოს ჰაეროპლანის მართვას, რომელიც, მიუხედავად ამისა, კვლავ განაგრძობს სწორი გზით ფრენას. თვითმფრინავის ახალი მოწყობილობა ყოველმხრივ გამოსცადეს სხვადასხვა ამინდში. ერთი გამოცდა მდგომარეობდა იმაში, რომ ჰაეროპლანი, რომელიც ძლიერი ქარის დროს აფრინდა, 300 მილის მანძილზე გაფრინდა ისე, რომ მფრინავს ხელიც არ გაუნძრევია: მან ხელი გაუშვა საჭეს აფრენისთანავე და მხოლოდ მაშინ მოჰკიდა მას ხელი, როცა ჰაეროპლანი დანიშნულ ადგილს მიუახლოვდა და უნდა დაშვებულიყო.



კომკავშირელი ქალი ქარხანაში.



ეზიდი პიონერები წერა—კითხვას სწავლობენ

ახლად გამოგონებული ხელსაწყო, რომელიც მხოლოდ 8 კილოგრამს იწონის, წარმოადგენს სათამაშო ბზრიალას სისტემაზე აგებულ მექანიზმს. იგი ავტომატიურად ასწორებს ყოველგვარ გადახრას სწორი მიმართულებიდან. აღნიშნული ხელსაწყო გამოსცადეს ყოველი სახის საფრენმა აპარატებმა და კარგი შედეგიც მიიღეს. როგორც გაზეთები აღნიშნავენ, საჰაერო მიმოსვლისათვის ასეთი ხელსაწყოს გამოგონებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

### 4. ფერადი ბომბები

ლონდონის პოლიცია შეაიარაღეს უვნებელი ბომბებით, რომლითაც იადვილებენ იმ პირთა დაპატიმრებას, რომლებიც ავტომობილებით მიმალვას მოინდომებენ. ეს ბომბები, ზომით სატენისო ბურთის ოდენა, დამზადებულია თხელი ლითონისაგან და გავსებულია წებოვანი ფერადი სითხით, რომელიც ძალზე ჩქარა და ადვილად შრება. ამგვარი სახის ბომბას პოლიციელები ესვრიან ავტომობილს, რომელიც სურთ დააკავონ. ავტომობილზე მოხვედრისთანავე ბომბი ფეთქდება, სითხე ესხმება მანქანას და ღებავს მას. ასეთ ავტომობილს სწრაფად იცნობენ სხვა პოლიციელები, რომლებიც მოვალენი არიან დააკავონ იგი. ასეთ საშუალებას ლონდონის პოლიცია განსაკუთრებით მიმართავს მუშათა მასიური გაფიცვის დროს, რომ გაფიცვის მეთაურები სასწრაფოდ შეიპყრონ.

### 5. ინგლისი და შნეიდერის ფიალა

ინგლისის საავიაციო სამინისტრომ გადასწყვიტა ამიერიდან აღარ მიიღოს მონაწილეობა შეჯიბრებაში შნეიდერის ფიალაზე.

ეს ნიშნავს იმას, რომ უახლოეს შეჯიბრებაზე, რომელიც გაიმართება 1931 წლის შემოდგომაზე, ინგლისი წარმოდგენილი იქნება არა სამხედრო მფრინავებით და სახელმწიფო აპარატებით, არამედ საავიაციო ფირმების



რკინისგზის სამართველო

მფრინავებით და საერთოდ კერძო პირების საავიაციო საწარმოებით. ინგლისის სამინისტრო თავის ამ გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებს, რომ „პრაქტიკული საჭიროებისათვის, ე. ი. სამხედრო სახის ჰაეროპლანების მშენებლობისათვის, საკმაო გამოცდილება არის დაგროვილი.“ მეორე მხრივ კი ხარჯები, რომელიც უკანასკნელი შეჯიბრების გამართვამ მოითხოვა, მეტად დიდია (5 მილიონი მანეთი); ინგლისის მაგალითს მიჰბაძა იტალიამაც.

### 6. წყალქვეშა ცურვის რეკორდი

იტალიის წყალქვეშა ნავმა „მეამელი“ დაამყარა წყალქვეშა ცურვის სიღრმის ახალი რეკორდი—120 მეტრი. წყალქვეშა ცურვის წინანდელი რეკორდი იყო 108 მეტრი. წყალქვეშა „მეამელი-“ს წყალწყვა უდრის 280 ტონას, სიგრძე—60 მეტრს.

წყალქვეშა ნავებს არ შეუძლია 100-120 მეტრზე უფრო ღრმად ჩაშვება, რადგან დიდ სიღრმეზე წყალი არაჩვეულებრივი სიძლიერით აწვება კედლებს (100 მეტრის სიღრმეზე ნავის კედლების თითოეულ კვ. დუიმს წყალი 80 კილოგრამის სიძლიერით აწვება). ნავის უფრო ღრმად დაშვების დროს წყალს შეუძლია შეანგრიოს ნავის კედლები. სწორედ ამავე მიზეზის გამო წყალმყვინთავებს არ შეუძლიათ 50-60 მეტრის სიღრმეზე უფრო დაბლა დაშვება.

წყალყვინთვის სიღრმის რეკორდი ეკუთვნის ინგლისელ ორ ოფიცერს, რომლებიც სპეციალური ჯავშნიანი ტანსაცმელებით დაეშვენ 64 მეტრის სიღრმეზე. წყალი ამ სიღრმეზე თითოეულ კვ. დუიმს 40 კილოგრამის სიმძიმით აწვება.

### 7. ახალი პოლარული ექსპედიციის გარშემო.

ახალ პოლარულ ექსპედიციას დირიჟაბლით მრავალი დაბრკოლება ელობება წინ. ამ რამდენიმე ხნის წინათ მოაგვარეს უთანხმოება დირიჟაბლის ეკიპაჟთან, რომელმაც უარი სთქვა ექსპედიციაში მონაწილეობის მიღებაზე იმ საბუთით, რომ არ შეიძლება გერმანიის ერთადერთი დიდი საჰაერო ხომალდის საფრთხეში ჩაყენება. ეს დაბრკოლება მოგვარებულ იქნა განსაკუთრებული დღიურების დანიშვნით ექსპედიციის განმავლობაში და ეკიპაჟის გაძლიერებული დაზღვევით.

ახლახან წარმოიშვა ახალი დაბრკოლება: ეკენერს სურს დირიჟაბლი დააზღვევოს 1.500.000 მანეთად, რომლის აგება დაჯდა 3.000.000 მანეთი.

გერმანიის დამზღვევმა საზოგადოებებმა უარისთქვეს ასეთი დიდი პრემიის გაცემაზე.

ეკენერს იმედი აქვს, რომ ინგლისი შესძლებს დირიჟაბლის დაზღვევას.

### 8. სპილოების ცხოვრების შესახებ

სპილო კარგად შესწავლილი ცხოველია, მაგრამ გარეულ სპილოებს ბევრი შეუსწავლელი დამახასიათებელი თვისება აქვთ, რაც თხოულობს ხანგრძლივ დაკვირვებულ თვალყურის დევნებას.

აი, მაგალითად, რას მოგვითხრობს სპილოების შესახებ ერთი ამერიკელი მოგზაური მეცნიერი ბლეკი, რომელმაც მრავალი წელი დაჰყო აფრიკაში, სადაც იჭერდა სპილოებს და წრთვნიდა სხვადასხვა ნადირს: „რამდენიმე საათი კვალდაკვალ მივდევდი სამ სპილოს, სწერს ის, რომელთა ყოფაქცევამ ძალიან დამაინტერესა. ერთი მათგანი უთუოდ ავად იყო: ის ძლივს მიდიოდა; ორი დანარჩენი ეხმარებოდა მას და უთმობდენ გასავალ გზას. ავადმყოფმა სპილომ დაიჩოქა, დანარჩენები გარს შემოერტყენ და ჩამოიყვინთეს“.

„მეორედ ჩვენ წავაწყდით ტყეში შემდეგ სურათს: თერთმეტი თუ თორმეტი სპილო შეჯგუფულიყო რაღაც დიდი ნაცრისფერი სხეულის ირგვლივ და ერთობოდენ. ქარის საშუალებით მათ გაიგეს ჩვენი ახლოს ყოფნა, მორთეს ღრიალი და დაფარეს ის სხეული, რომლის ირგვლივაც ერთობოდენ. ამ დროს რაღაც სხეული წამოდგა მიწიდან; ის აღმოჩნდა დედალი სპილო, რომელიც ახლად დაბადებული პატარა სპილოთი გაეშურა ტყისაკენ. ოთხი სპილოს გარდა, რომლებიც იმავე ადგილზე იდგენ მანამ, სანამ დედალი სპილო სავსებით არ მიიმალა, ყველა დაედევნა მას. მე მონადირეებს დავცინოდი, რადგან არ მჯეროდა მათი ნაამბობი, მაგრამ ყოველივემ, რაც ჩემი თვალით ვნახე, დამარწმუნა მონადირეების სიმართლეში“.



კომკავშირელი ამხ. სტალინის სახელობის სახელოსნოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბუნების მოვლენანი

**რისგან და როგორ ჩნდება ელვა, ქუხილი და მეხი?**

ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა ბევრი ცრუ რწმენა დაგვიტოვეს. იყო ძველად საბერძნეთში მეხმტყორცნელი ღმერთი ზევსი. ასეთსავე ღმერთად მიაჩნდათ ძველ სლავებს პერუნი. მათ მსგავსად ქრისტიანებსაც და ებრაელებსაც სწამდათ წინასწარმეტყველი ილია ანუ ელია. მორწმუნეთა წარმოდგენით, ელია განაგებს ელვა-ქუხილის საქმეს და მორახრახე ეტლიდან ისვრის „ცეცხლის ისრებს“ იქითკენ, საითკენაც მოისურვებს. ელიას ზოგჯერ დავთრებიც ებნევა და ხშირად ისარი ღვთის ტაძარს ხვდება. ვინ მოსთვლის, რამდენი ეკლესია გადამწვარა მეხისაგან. მაგრამ მორწმუნე ხალხი ამას ყურადღებას არ აქცევს და სჯერა ზღაპარი ელვა-ქუხილის და მეხის გაჩენის შესახებ. მეცნიერებამ კარგად იცის, რისგან და როგორ ჩნდება ელვა, ქუხილი და მეხი. ნასწავლმა ადამიანმა მოახერხა ილია წინასწარმეტყველის ისრების დაჩლუნგება და მეხის თავიდან აცილება. ყველაფერი, რაც მეცნიერებამ გამოიკვლია, ყოველი დასკვნა, რაც მან კვლევა-ძიებიდან გამოიტანა, რელიგიის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს.

ელვა-ქუხილს და მეხს აჩენს ელექტრობა. შემდეგიდან გავიგებთ, თუ რაში მდგომარეობს ეს ძალა და როგორ აჩენს ამ მოვლენებს.

როცა ხელებზე გვცივა, ხელებს ვისრესთ. ამ სრესით სითბოს ვიწვევთ, რომელიც ხელებს გვითბობს. სითბოს მისაღებად საჭიროა, რომ ერთი საგნით მეორე საგანი ხეხო. ავიღოთ ორი სხვადასხვა საგანი, მაგალითად, მაუდის ნაჭერი და ლუქი და ერთმანეთს მაგრად წავუსწამოვუსვათ. ეს საგნები არამც თუ გახურდება, ლუქი ამასთან იმისთანა ძალასაც გამოიჩენს, რომელსაც ჩვენ წინად მას ვერ ვამჩნევდით: ლუქი მოიტაცებს და მიიკრავს ქაღალდის პატარა ნაჭრებს. გარდა ამისა, ბნელ ოთახში რომ მაგრად ნახეხი ლუქი ერთს ხელში გვეჭიროს და მეორე ხელის თითი ლუქს მივუახლოვოთ, ნახეხი ლუქისაგან ნაპერწკალი გამოვარდება, ხელში გვეცემა და სუსტ ტკაცანს გაიღებს. ამ ძალას ელექტრობა ჰქვიან. ეს ძალა მეტ-ნაკლებობით ყველა საგანშია: ქარვაში, ლუქში, მიწაში, მცენარეში, პირუტყვში და ადამიანში. კატაში ეს ძალა ძლიერ ბევრია მოგროვილი. კატას რომ ბნელაში ბალანზე ხელის სმა დაუწყო, რაღაც ტკაცატკუცს გაიგონებ და პატარ-პატარა ნაპერწკლებიც გამოჩნდება. აი ეს ნაპერწკლები არის ელექტრობა. ზოგიერთს საგანში ელექტრობა ჩქარა და ადვილად გაივლის ხოლმე, მაგალითად, რკინაში; მინა კი ცუდი გამტარებელია. რადგან ელექტრობა რკინის მავთულში ჩქარა გაირბენს ხოლმე, ამიტომ ტელეგრაფი მოიგონეს.

სწორედ ეს ელექტრობა აჩენს ცაში ელვას, ქუხილსა და მეხს.

ჰაერში დაგროვილია ელექტრობის აურაცხელი მარაგი. ცაში საიდან ჩნდება ეს ძალა? აი საიდან: დედამიწაში ელექტრობა ბევრია და მაღლობების წვეროებზე ბევრი გროვდება: მთების წვერებზე, კოშკების ან ციხეების თავზე და სხვაგან. ამ წვეროკინებს ჰაერის ორთქლი ეხება, ამიტომ აქედან ამ ორთქლში ადის ელექტრობა და ორთქლიდან კიდევ მაღლა მყოფ ღრუბლებში ვრცელდება. ყველა ღრუბელშია ელექტრობა, მაგრ მუჩინარია. როცა ზაფხულის ცხელ დღეში ცაში ღრუბლები აირევა, მხოლოდ მაშინ იჩენს ხოლმე თავს ელექტრობა. ღრუბლები ამ დროს ერთმანეთს ეხლება, ეხახუნება და ამიტომ გაჩნდება ხოლმე ელექტრობის ნაპერწკლები. რამდენიმე ნაპერწკალი ერთმანეთს უერთდება და ამგვარად ჩნდება დიდი ნაპერწკალის, ერთი ღრუბლიდან მეორე ღრუბლისაკენ გარბის და ანათებს. ჩვენ ამ მოვლენას ელვას ვეძახით. ხანდახან ელექტრობის დიდი ნაპერწკალი მიწისაკენ დაეშვება ხოლმე და საშინელი ძალით დაეცემა; რასაც მოხვდება, ვერა გაუძლებს რა, ყველაფერს ამსხვრევს. აი ამას ვეძახით მეხს; მეხი ელექტრობის დიდი ნაპერწკალია.

საიდან ჩნდება ის საშინელი თავზარდამცემი ხმაურობა ანუ ჭექა-ქუხილი? საქმე ისაა, რომ როცა დიდი ნაპერწკალი ღრუბლიდან ღრუბლისაკენ მირბის ან დედამიწისკენ ეშვება, ის თავისი დიდი სისწრაფით და ძალით ჰაერს არღვევს, ანძრევს, ჰაერი ამოძრავდება და და გრიალი გააქვს. ამას ვეძახით ჭექა-ქუხილს.

შენობა რომ გადავარჩინოთ მეხის დაცემას, ამისათვის საკმაოა სულ უბრალო რამ: გრძელი რკინა დაუჟანგებელი წვეტით და ამ რკინიდან წამოღებული და მიწაში (რამდენადაც შეიძლება მიწის ქვეშ წყალში) ჩაშვებული მავთული. ეს არის მეხის ამსხლეტი ანუ მეხამრიდი, რომელიც მეხს თავისკენ იზიდავს და შენობას იცავს დანგრევისაგან.

ელვა და ქუხილი ერთ დროს ჩნდება. ელვისა და ქუხილის სიძლიერე დამოკიდებულია ელექტრობის ნაპერწკლის სიდიდეზე. თუ ღრუბლები, სადაც ელვა—ქუხილი ჩნდება, ჩვენზე ახლოა, ელვის დანახვა და ქუხილის გაგონება ერთ დროს ხდება, მაგრამ როცა ეს ღრუბლები ჩვენზე დიდი მანძილითაა დაშორებული, მაშინ ჯერ ელვას ვხედავთ, მერე კი ქუხილი გვესმის. რით აიხსნება ეს? ეს აიხსნება იმით, რომ შუქი (სინათლე) ბგერაზე (ხმა) უფრო სწრაფია, ჩქარია. მეცნიერების გამოანგარიშებით, შუქი წამში გარბის 300000 კილომეტრს, ბგერა კი—340 მეტრს. განსხვავება სიჩქარეში, რასაკვირველია, დიდია და ამიტომ ელვა ჩვენამდე ქუხილზე უფრო ადრე აღწევს.

გამოინგარიშეთ, რა მანძილით იყო ჩვენგან დაშორებული ქუხილი, თუ ელვის შემდეგ გავიდა 8 წამი და გავიგონეთ ქუხილი.

ელვა-ქუხილის დროს დაინიშნეთ, რამდენი წამი გაივლის ელვის შემდეგ, სანამ თქვენ გაიგონებდეთ ქუხილს და გამოიანგარიშეთ, თუ რა მანძილზე იყო ელვა-ქუხილი?

ჰაერის ზედა ფენებში ჰაერის ელექტრობის დაგროვების ცდები ფრენამ შესაძლებელი გახადა. ამ დაგროვილი ელექტრობით შეიძლება დედამიწაზე მანქანების ამოძრავება. ბევრი მეცნიერის აზრით, არ გაივლის ორი-სამი ათეული წელიწადი, რომ ჰაერის ზედა ფენების ელექტრობა გამოყენებული იქნება დედამიწაზე. მაშინ ელვას არა თუ ფრთები შეეკვეცება, იგი ამუშავებულ იქნება ელექტრომძრავებში ისევე, როგორც დღეს ელექტროსადგურში მოპოებულ ელექტრობის დენს ამუშავებენ.

არა რწმენამ ზებუნებრივ ძალისა ან ღვთის რწმენამ, არამედ ბუნების შესწავლამ, დაკვირებამ მის მოვლენებზე დაუმორჩილა ადამიანს ბუნების მრავალი ძალა, ხოლო შემდგომ ასეთივე შესწავლა და დაკვირვება მიიყვანს მას ბუნებაზე სრულ გამარჯვებამდე.

მასწავლებელი **სოლომონ მესტიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვის ინსექტარიუმი

წინათ ზოოლოგიური ბაღები არაფრად არ აგდებდენ მწერებს. „ხოჭოები გალიებში? ვეფხვის მაგივრად ბოვრი, გიმალაის დათვის მაგივრად ნეხვის ჭია, აახრჩობელა გველის მაგივრად ცხრაფეხა? არა, მადლობელი ვარ, ას თი რამეებით ვერ გამაკვირვებ.ო!“— ამბობს ზოგი მნახველი.

საჭირო იყო ახალი მნახველი, სულ სხვა რამით დაინტერესებული, რომ ხოჭოც ისეთივე საინტერესო ყოფილიყო მისთვის, როგორც საშინელი ვეფხვი, თვალების ბრიალით რომ ბორგავს გალიაში.

მეცნიერული თვალსაზრისით პატარა მწერები უფრო საინტერესო არიან, ვიდრე ვეფხვები და მარტორქები.

გავეშუროთ ინსექტარიუმში, ვეწვიოთ ობობებს, ჭიანჭველებს, ჩვენს პატარა მეგობრებს და მძლავრ მავნემლებს.

აი ჭიანჭველების კუნძული. ვაი იმ პატარა ცოცხალ არსებას, რომელიც მოხვდება ამ კუნძულზე: სტუმარს საშინლად გაუმასპინძლდებიან, ისე კი პატიოსან შრომას ეწევიან. საინტერესოა მზერა, როდესაც ჭიანჭველების კუნძულის მცხოვრებნი ასუფთავებენ თავის ქალაქს ნაგავისა და მკვდარი არსებებისაგან, მოაქვთ ისინი „მდინარის“ ნაპირას, რომელიც მათ კუნძულზეა. კუნძულიდან გაყვანილია საჰაერო გზა საკვებისაკენ, რომელიც სიროპით სავსე ჯამს წარმოადგენს. ჭიანჭველების კუნძულს გარდა ინსექტარიუმში არის ჭიანჭველების რამდენიმე ხელოვნური ბუდე, ხის ქოთნებში, წყლით განმხოლოებული ნიადაგისაგან. ამ ბუდეებში სხვადასხვა ჯურის ჭიანჭველები არიან.

ინსექტარიუმში შემოსული ორი დედაბერი ბაასობს:
— ქარებს ძალიან უხდება ჭიანჭველა.
და ეს უვიცნი მტრობენ მათ, ანადგურებენ.

„ჭიანჭველები ტყის მეგობრები არიან. ნუ დაანგრევთ მათ ბუდეებს“— ასეთი ანშლაგია ჭიანჭველების კუნძულთან.

— რა პატარა სკებია!—ამბობს გაკვირვებული ერთი მნახველი.

— ამ სკებში კრაზანები ცხოვრობენ. მაგონდება ზაფხული... იასამანის და აკაციის ყვავილებზე დაბზუიან კრაზანები და ფუტკრები, თაფლს აგროვებენ. ,,ნეტავ რათ უნდათ კრაზანებს თაფლი, სად მიაქვთ?“— ვფიქრობდი ხოლმე ბავშობისას.

ერთხელ მინდორში წავაწყდი კრაზანების ბუდეს, საღამოს ფრთხილად ამოვთხარე ის, შინ წამოვიღე, ზევიდან დავ ხურე ფანჯარაგამოჭრილი ყუთი და ამრიგად მოვუწყვე მათ სკა.

კრაზანები ვერ აკეთებენ ისეთ ხელოვნურ ბინებს, როგორც ფუტკრები, რომლებიც დახელოვნებულ ხუროთმოძღვრებს მოგვაგონებენ, არც ბევრი თაფლი სჭირდებათ — ოღონდ გამოძლენ, ცოტა მოიმარაგონ და შვილებს უპატრონონ. ზამთარს ძალიან ცოტა მათგანი თუ გადაურჩება. რას წარმოადგენენ ადამიანისთვის კრაზანები? ისინი სოფლის მეურნეობის დიდი მეგობრები არიან, ვინაიდან გაცილებით უფრო გრძელი ენა აქვთ, ვიდრე ფუტკრებს და ისეთი ყვავილებიდანაც კი იღებენ ნექტარს, რომლებსაც ფუტკარი ვერაფერს მოუხერხებს. ამ დროს მათ გადააქვთ ერთი ყვავილის ან მცენარის მტვერი მეორეზე და ამით ანაყოფიერებენ მათ, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ თანამედროვე აგრონომია გვირჩევს კრაზანების ხელის შეწყობას.

ფუტკრის სკებში ყურადღებას იპყრობს მუშა კოზლოვის გამოგონება — „ნათელი“ სკა. აქამდე ფიქრობდენ, რომ ფუტკარი ბნელაში უკეთ მუშაობს, მაგრამ „ნათელმა“ სკამ, რომელსაც მინის კედლები აქვს, სულ სხვა დაამტკიცა: ფუტკარი სინათლეზე უკეთ მუშაობს!

ინსექტარიუმში არის ლაბორატორიებიც, სადაც ცდიან მწერის ბუნებას და პრაქტიკას იძენენ მომავალი პედაგოგები. სხვადასხვა განყოფილებებშია მოთავსებული მოსავლის მეგობრები, ნივთების მავნებლები, საინტერესოა განყოფილება „მწერები და მედიცინა“, „მწერები და ცრუმორწმუნეობანი“. აქ აკვირდებიან და სწავლობენ, თუ როგორ იბადება, გარდაიქმნება და ცხოვრობს ესა თუ ის მწერი, ადამიანის მოყვარე ან მტერი, აქ ირკვევა ცხოვრების ბევრი საინტერესო მოვლენა, და კულტურული მნახველი არა ნაკლები ინტერესით სწავლობს ბუზის ბუნებას, რომელიც ავრცელებს ათასგვარ ავადმყოფობას, ვიდრე თვალისათვის მიმზიდველი ვეფხვის ყოფა-ცხოვრებას.

ხშირად არ არის საკმაო ფული, რომ მოეწყოს ზოობაღი, მაგრამ ინსექტარიუმს კი დიდი თანხა არ სჭირდება, ის ძალიან სასარგებლო იქნება მოზარდი თაობის ცოდნის გასაღრმავებლად, და ალბათ სულ მალე მოეწყობა ინსექტარიუმები ჩვენი საბჭოთა კავშირის ხსვადასხვა კუთხეში. აქ მონდომაა მხოლოდ საჭირო, უფულობით თავის გამართლება შეუძლებელია. ეს საქმე კი დიდმნიშვნელოვანია, მით უმეტეს ახლა, ჩვენი სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციის ხანაში.

# ,,ასკანია ნოვა''

სულ რამდენიმე ათეული კილომეტრია ყიმირის ნახევარკუნძულიდან „ასკანია ნოვა“-მდე. ეს მამული დაარსებულია 1828 წელს. შემდეგ ერთ-ერთმა მისმა მფლობელმა ფალც-ფეინმა აქ მოაწყო ზოოლოგიური ბაღი და გამოჭყო უდაბნოს აღკვეთილი ნაწილი.

მაგრამ მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გაფართოვდა აქ მუშაობა, რომელსაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო მეურნეობის პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად. ამ მამულშია ახლა აუარებელი ფრინველი და ცხოველი. გარეული ფრინველებისა და ცხოველებისათვის ისეთი პირობებია შექმნილი, რომ ისინი თავისუფლად გრძნობენ თავს, ვერ გრძნობენ ტყვეობას. ზოოლოგიური ბაღის ტყეში არის მოწყობილი საზამთრო შენობა და ტბები, სადაც უამრავი ფრინველია. ეს ფრინველები მოყვანილია თურქესტანიდან, აფრიკიდან, სამხრეთ ამერიკიდან, ზოგი კი ადგილობრივია.

ამ ზოობაღის (ახლა ჩაპლის ზოობაღს ეძახიან) უდაბნოს ნაწილი 110 ჰექტარს შეიცავს. მთელ ამ სივრცეს შემოვლებული აქვს ლითონის ბადე. ამ 110 ჰექტარზე თავისუფლად ცხოვრობენ ცხელი ქვეყნების (უმთავრესად კი აფრიკის) ცხოველები — გნუ, ზებრა, სირაქლემა და სხვანი.

გარდა ამისა, აქ არის ბოტანიკური ბაღიც — 50 ჰექტარი, სადაც ძალიან ბევრი იშვიათი ხე და ბუჩქია, რომლებსაც მუდამ რწყავენ, თორემ ისე ვერ გასძლებენ აქვე სწავლობენ, თუ რა გზით მიდიან და მოდიან გადამფრენი ფრინველები: მათ ფეხზე უკეთებენ პატარა რგოლებს და შემდეგ მოსდისთ ცნობები, თუ სად და სად ნახეს ასეთი რგოლის მქონე ფრინველები.

უდაბნოს მეცნიერული სადგურის მიზანია შეისწავლოს უდაბნოს ჰავა, ნიადაგი, ფლორა, ფაუნა.

ზოოტექნიკური სადგური აუმჯობესებს საქონლის ჯიშებს, იკვლევს საკვებ ნივთიერებებს, მოსახლეობას აწვდის ჯიშიან საქონელს.

აქვეა ფიტოტექნიკური სადგური, რომლის მიზანია შეისწავლოს და გამოიკვლიოს, აგრეთვე გააუმჯობესოს სხვადასხვა მცენარე; ეს სადგური ენერგიულად მუშაობს, რომ შექმნას ისეთი პურეული მცენარე, რომელიც დიდ მოსავალსაც მოგვცემს და არც გვალვის შეეშინდება, მაშასადამე, გამოდგება უკრაინის გვალვიან ადგილებში.

1930 წ. გამოდის დასურათებული საბავშო 1930 წ.

# ჟურნალები

# „პიონერი“ და „ოქტომბრელი“

1930 წ. „პიონერი“ გამოვა 24 წიგნი —— 1930 წ. „ოქტომბრელი“ გამოვა 12 წიგნი

1930 წელს საბავშო ჟურნალებში ითანამშრომლებენ თანამედროვე საბავშო მწერლები

1930 წელს **„პიონერი“** მისცემს **პრემიად** წლიურ ხელისმომწერლებს:

1. **„მოწაფე-კოოპერატორი“**
2. **„საბავშო პიესათა კრებული“**
3. **„პიონერის“** წლიური ხელისმომწერლები (კოლექტივები, სკოლები, ჯგუფები) ყოველ ხუთ ცალზე **უფასოდ მიიღებენ მეექვსე ცალს.**

1930 წელს **„ოქტომბრელი“** მისცემს **პრემიად** წლიურ ხელისმომწერლებს:

1. დ. და მ. შევარდნაძეების გადმოქართულებულ **ფერადსურათებიან** წიგნს **„გულწითელა“**
2. **„ოქტომბრელის“** წლიური ხელისმომწერნი (კოლექტივები, სკოლები, ჯგუფები) ყოველ 5 ცალზე **უფასოდ მიიღებენ მეექვსე ცალს**

**ორივე ჟურნალის გარეკანი დაიბეჭდება ფერადებით**

1930 წ. ხელმოწერა მიიღება

| „პიონერი“ | | „ოქტომბრელი“ | |
|---|---|---|---|
| წლით | 5 მ. | წლით | 3 მ. 50 კ. |
| ნახევარი წლით | 3 მ. | ნახევარი წლით | 2 მ. |
| სამი თვით | 1 მ. 50 კ. | სამი თვით | 1 მ. |

**მისამართი:** ტფილისი, სახელგამი, რუსთაველის პრ., № 22.
ჟურნალ „პიონერის“ და „ოქტომბრელის“ რედაქცია

სახელგამის პერიოდსექტორი, ტფილისი, რუსთაველის პრ., № 11.

**ხელმოწერა მიიღება აგრეთვე სახელგამის ყველა წიგნის მაღაზიაში და ფოსტის განყოფილებებში.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 25 კაპ.

# გამოვიდა და იყიდება.

### I. ოქტომბრელის ასაკის ბავშვთათვის:

1. **ლენინის გარდაცვალება,** — ა. გრინბერგის—15-კ.
2. **ბუ,** — მანასეინის . . . . . . . . . 10 კ.
3. **ბანჯგვლია,** — ვ. ბიანკის . . . . . . . . 25 კ.
4. **საბავშო ბაღი,** წ. III., ფერადსურათებიანი— ნ. უნაფქოშვილისა და თ. ერისთავის —1 მან.—
5. **ბოტანიკური ლოტო** (ფერადსურათებიანი) 1 მ. 50 კ.
6. **ლოტო** (ფერადსურათებიანი) . . . 2 მ. 50 კ.

### II. პიონერის ასაკის ბავშვთათვის:

1. **ლენინი ქოხში,** — ნ. ზომლეთელის . . . 35 კ
2. **საბავშო პიესები,** — ს. ერთაწმინდელის . 90 კ.
3. **საბავშო ლექსები,** — გ. ქუჩიშვილის . . 60 კ.
4. **ახალგაზრდობა,** — ს. ეულის . . . . . . 50 კ.
5. **ლაშქრობა,** — ა. ირკუტოვის . . . . . . 45 კ.
6. **სახახლის ალება,** —კავერინის . . . . . 25 კ.
7. **რევოლუციონერი ბავშვები,** ზ. ლილინასი— 50 კ.
8. **სისხლიანი გაკვეთილი,** — მ. ტერიაევის . 50 კ.
9. **საბჭოთა ყრილობის ღამე,** — საველიევის . 30 კ.
10. **ზღვის დიდ გზაზე,** — ვ. ბიანკის . . . . 50 კ.
11. **80000 კილომეტრი წყალქვეშ,** — ჟიულ ვერნის . . . . 2 მ. 25 კ.
12. **ალო, ალო, მოაწყვეთ რადიოსადგური!** დ. მესხის . . . . . . . . . . . . . 20 კ.
13. **პატარა ქიმიკოსი,** — დ. მესხის . . . . . 25 კ.
14. **შეისწავლეთ ბაგა,** — დ. მესხის . . . . . 25 კ.
15. **როგორ უნდა შევადგინოთ ჰერბარიუმი,** — ნ. ჯაფარიძის . . . . . . . . . . . . 20 კ.

# იბეჭდება და გამოვა.

1. **პიონერ—ორგანიზაციების მიმდინარე ამოცანები,** —ა. მახათაძის.
2. **ჯამბაზი,** — ფერადსურათებიანი თამაშობა.
3. **ფუტკარი,** — დ. თაბუკაშვილის.
4. **ჩვენი თევზები,** — გ. ნათიძის.
5. **გამოიცანი** (თამაშობა) — ლ. გეგეჭკორის და ნ. უნაფქოშვილის.
6. **ჩვენი ლენინი,** — ა. კრავჩენკოსი.
7. **ხატანჯით,** — ჱ. მარკოვის.

მთავლიტი № 254 სახელგამის სტამბა, შუა ბაზარი, № 22. შეკვ. 50. ტირ. 1500